# პიონერი

1



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ა. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 1

იანვარი 1932

წელიწადი მე-7

რედაქციის მისამართი: ალმასკომის ქ., № 7.

სახელგამი, საყმაწვილო და საბავშვო სექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ხუთწლედის უკანასკნელი წლის მიჯნაზე
საკ. კ. პ. (ბ) ცეკა სკოლის შესახებ
ომი იქნება
ბამბის ფრონტი—**რაფ. მელაძე**
ძელიდან გაზეთამდე—**ვალოდია**
უნდა წავიდეთ—**ლ. ჭიჭინაძე**
ბოლშევიკ კოლმეურნეების სიტყვა—**შაქრო ხამადაშვილი**
ნორჩი ტექნიკოსები—**შ. თ.**
სიმღერა—**შიო მღვიმელი**
საბჭოთა ტემპები—**ბორის ჩხეიძე**
შენიშვნები პიონერთა ყოფა-ცხოვრებაზე—**ალ. ბილანიშვილი**

## რედაქციისაგან

ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო 1931 წლის უკანასკნელი №-ები 21—22, 23 24 არ გამოდის. ჟურნალის ხელისმომწერლებს სამაგიეროდ დაეგზავნებათ ერთ-ერთი საბავშო წიგნი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

# ხუთწლედის უკანასკნელი წლის მიჯნაზე

მესამე მდიდარი და მრავალმხრივი წელიც მიიწურა. მშრომელთა გმირულმა შემოქმედებამ ბრწყინვალედ გამოაკლო ხუთს სამი მძიმე და გადამწყვეტი ციფრი. ბოლშევიკური ნაბიჯებით გავირბინეთ და ფეხი შევდგით ხუთწლედის მეოთხე, უკანასკნელი წლის მიჯნაზე.

ინდუსტრიალიზაციის მიღწევები და ტემპი, ომის წინადროინდელი დონის გაცილებით გასწრება უცხო კაპიტალისა და სესხების დაუხმარებლად, ახალი გიგანტებისა და საწარმოთა მშენებლობა, მრეწველობის განვითარება,—აი რა იყო ჩვენი სიმაგრე, აი რამ მოგვცა შესაძლებლობა მოგვებრუნებია საშუალო გლეხი სოციალიზმისაკენ და, ღარიბ გლეხობასთან ერთად, კოლექტივიზაციის საფუძველზე, დაგვეპირისპირებია ის კულაკისათვის, მის, როგორც კლასის, მოსასპობად.

ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობის 60 პროცენტი უკვე გაერთიანდა კოლექტივებში. მესამე გადამწყვეტ წელს, ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლის თავზე, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ კულაკობის სრული ლიკვიდაცია მარცვლეულის ძირითად რაიონებში.

1931 წლის დასასრულს წარმოების პროდუქცია ორნახევარჯერ გადააჭარბებს ომის წინადროინდელ რაოდენობას. ეს წელი მოგვცემს ახალ-ახალ გამარჯვებებს ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე.

შავი მეტალურგიის წარმოების დარგში, მხოლოდ მაგნიტოგორსკის გიგანტის პროდუქცია გადააჭარბებს მეფის დროინდელ რუსეთის მთელს წარმოებას ამავე დარგისას, ის გიგანტია პირველი ნაბიჯი პარტიის მე-16 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, შავი მეტალურგიის მეორე ბაზის შესაქმნელად გადადგმული.

სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაჩაღებამ, სტალინის ექვსი ისტორიული მითითების შესრულებისათვის მედგარმა ბრძოლამ მოგვცა პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის ბრწყინვალე ზრდა, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა დონბასის წარმოება, სადაც ოქტომბრის პროდუქციამ 20 პროცენტით გადააჭარბა სექტემბრისას.

ნავთის მრეწველობამ უკვე შეასრულა 5 წლედი 2 ნახ. წელში და ამაყად დადგა მთელს მსოფლიოში მეორე ადგილზე. ეს დარგი ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა, ამ ავანგარდში უნდა დარჩეს.



ხუთწლედის ახალი გიგანტი

ამ წელს ამოქმედდა მილიონ ნახევარი კილოვატის მომცემი ახალი ელსადგურები, არის ხუთჯერ მეტი ელექტროძალა, რუსეთის ელექტროფიკაციასთან შედარებით. ჩვენმა ქვეყანამ შეასრულა ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა.

ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი საბჭოთა კავშირის ყურადღება მიქცეული იყო სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაზე. მან შეასრულა გეგმა, რაიც ნიშნავს, რომ ჩვენ დავეუფლეთ ტექნიკის მაღალ მწვერვალებს.

მუშათა მილიონიანი მასები, დამკვრელნი, ბრიგადირები, პარტიული მასა ჩაბმულია ტექნიკის ბოლშევიკურად დაუფლების საქმეში.

საბჭოთა ტექნიკის მაღალ მესიტყვეთა ტრიბუნას შეემატა ახალი ძლიერი ორატორები: ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა და მოსკოვის „ამო“, აქეთკენ მიისწრაფის კიდევ მრავალი გიგანტი.

მსუბუქი მრეწველობის დარგშიც გადამწყვეტ გამარჯვებას მივაღწიეთ. ინდუსტრიალიზაციის მიღწევებმა განამტკიცა ჩვენი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმე, კოლექტივების შემოწმებით ჩვენ არა მარტო მარცვლეულის საკითხი გადავსჭერით, არამედ ტექნიკური კულტურისაც.

იზრდება და მტკიცდება ძველი საწარმოო რაიონები და მათ ემატებათ ახალ-ახალი რაიონები.

ჩქარი ტემპით მიიმართება საბჭოთა კავშირის ნაციონალური რესპუბლიკების განვითარება; რუსეთის ეს ყოფილი კოლონიები, ამიერ-კავკასია, შუა აზია და კაზაკისტანი, უკვე გვერდით უდგას კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის საქმეში.

ამ უზარმაზარ მიღწევებთან ერთად ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგიერთ ნაკლსაც.

ჯერ კიდევ ვერ გარდაიქმნა ახალ გრანდიოზულ მოთხოვნილებებთან შეფარდებით ჩვენი რკინის გზის ტრანსპორტი, ის აშკარაო ჩამორჩა მრეწველობის ზრდის ტემპებს. ამიტომაც იყო, რომ ს.კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორი უკანასკნელი პლენუმი განსაკუთრებით შეეხო ამ საკითხს და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ტრანსპორტის მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

ჯერაც არ არის გადაჭრილი მეცხოველეობის პრობლემა, საბჭოთა კოოპერატიული ვაჭრობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოქნილი, ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი და სხვა.

ყველა ამ დეფექტის წინააღმდეგ პარტია გადამჭრელ ზომებს აყენებს, რის გატარებაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფს სოცამშენებლობის ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ამხ. სტალინის ექვსი მითითების განხორციელება არის გზა მრეწველობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა; მუშა-ხელის საკითხის ორგანიზაციულად მოწესრიგება, ხელფასის ოპორტუნისტული გათანასწორების წინააღმდეგ ბრძოლა, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგება და გაუპიროვნების აღმოფხვრა, ძველი საწარმოო ინტელიგენციის გამოყენება და ახალი პროლეტარული ტექნიკური ინტელიგენციის შექმნა, სამეურნეო ანგარიშიანობის გაშლა და დაგროვების წყაროთა გადიდება,— ეს არის უზრუნველყოფა ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებისა და სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციისა.

ყველა ამას შევძლებთ ორ ფრონტზე შეუნელებელი ბრძოლით.

ჩვენ შევსძლებთ ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ხუთწლედის მეოთხე წელს და ამ წლით დავასრულოთ ის დიადი სამუშაო, რომელსაც „ხუთწლიანი გეგმა“ ეწოდება.

იანო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქ. ქ. პ. (ბ) ცეკა სკოლის შესახებ

მსოფლიოში არსად არ არსებობს, ისეთი სკოლა, როგორც ჩვენს ქვეყანაშია, რადგან სკოლის აყვავების ისეთი პირობები, როგორიც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაშია, შეუძლებელია კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

სასკოლო ფრონტზე ჩვენ დიდი ხანია უკან მოვიტოვეთ ყველა კაპიტალისტური სახელმწიფო.

სასკოლო ფრონტზე ჩვენ დიდი ხანია უკან მოვიტოვეთ ყველა კაპიტალისტური ქვეყანა და ისეთ წარმატებებს მივაღწიეთ, რომლებზეც ოცნებობაც კი უჭირთ ყველაზე უფრო „ცივილიზაციურ“ და „კულტურულ“ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ძველი, ომისდროინდელი რუსეთი, რომელიც შეძლებული ფენების 7 მილიონ ბავშვს ასწავლიდა, არაფერი ჩანს საბჭოთა კავშირთან, სადაც დაწყებით და საშუალო სკოლებში მშრომელთა 20 მილიონი ბავში სწავლობს 70 ეროვნების ენებზე.

მხოლოდ გასულ წელს საშუალო და დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 7 მილიონით გაიზარდა, სადაც დაწყებით სწავლაში ჩაბმული იყო ჩვენი ქვეყნის ბავშთა მთელი მოსახლეობა.

საქ. - საფ. სკოლებმა და ტექნიკუმებმა კი თავის კედლებში ახალი 1.400 ათასი მოსწავლე მოათავსა.

## სწორ გზაზე

შეუდარებელია სკოლის მუშაობის შინაარსიც. ჩვენმა სკოლამ პოლიტექნიზმის გზით შესძლო სწავლის წარმოებასთან დაახლოება და მისი დაკავშირება ფაბრიკა - ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში შრომასთან.

ჩვენი სკოლა კომუნისტური პარტიის პროგრამის მიერ დასახული სწორი გზით მიდის.

მიუხედავათ ამ მიღწევებისა, ც. კ. აღნიშნავს, რომ **საბჭოთა სკოლა ჯერ არ შეეფერება იმ უდიდეს მოთხოვნას, რომელსაც მას დღევანდელი სოციალისტური მშენებლობის ეტაპი უყენებს.**

ც. კ. აზრით დღევანდელ მომენტში სკოლების ძირითადი ნაკლი მასში მდგომარეობს, რომ სკოლებში სწავლა ვერ იძლევა საერთო განმანათლებელ საკმაო ცოდნას. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლებისა და ტექნიკუმებისათვის ძირითად მეცნიერებათა (ქიმია, მათემატიკა, ფიზიკა, გეოგრაფია და სამშობლო ენა) კარგად მცოდნე ხალხის მომზადების ამოცანას ჩვენი სკოლები ჯერ ვერ ასრულებენ.

ამის გამო სკოლების პოლიტექნიზაცია მთელ რიგ შემთხვევებში წმინდა ფორმალურ ხასიათს იღებს და ვერ ამზადებს სოციალიზმის მშენებლობისათვის ყოველმხრივ მომზადებულ ბავშებს, რომლებსაც შეეძლებათ თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირება და ტექნიკის დაუფლება.

## როგორი სკოლა გვჭირდება

ვლადიმერ ილიჩს არაერთხელ მიუთითებია საერთო განმანათლებელი ცოდნის დიდ მნიშვნელობაზე და აქტიურად იბრძოდა, რომ ჩვენ სკოლას ეს ცოდნა მოეცა. 1920 წელს, წაიკითხა რა ამხ. კრუპსკაიას თეზისები პოლიტექნიკური სკოლის შესახებ, ვლადიმერ ილიჩმა დასწერა თავისი შენიშვნები, რომელიც დღეს პოლიტექნიკური სკოლისათვის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს.

ის წერდა:

**„ჩვენ ახლავე გვჭირდება დურგლები და ზეინკლები. ცხადია, რომ თითოეული უნდა იყოს ზეინკალი, დურგალი და სხვა ასეთი, საერთო განმანათლებელი და პოლიტექნიკური მინიმუმის დამატებით“.**

კიდევ ერთ ადგილას ვლადიმერ ილიჩი აღნიშნავდა — კომუნისტი მაშინ შეიძლება გახდე, როდესაც სრულ შენ მახსოვრობას **გაამდიდრებ ყველა იმ ცოდნით, რომელიც კაცობრიობამ გამოიმუშავა.**

ლენინის ეს მითითებები დაედო საფუძვლად სკოლის შესახებ პარტიის ც.კ. ახალ დადგენილებას. ყველა საქ. რესპუბლიკის განსახკომებს წინადადება მიეცათ სასწრაფო შესძლონ პროგრამების მარქსისტულ მეცნიეროლი გადამუშავება, რომ 1 იანვრიდან მუშაობა ახალი პროგრამებით მიმდინარეობდეს.

ც. კ. გვათრთხილებს — პრაქტიკაში გაუსინჯავმა ახალმა მეთოდებმა არ გაგვიტაცოსთო.

## მივცეთ სკოლებს სახელოსნოები

**„ფართოდ გაიშალოს სახელოსნოები. სამუშაო ოთახების ქსელი სკოლებთან, ისე, რომ მათი მუშაობა მჭიდროობაში იყოს მილიბული: ჩატარდის წარმოებებთან, საბჭოურნეობებთან, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებთან და კოლმეურნეობებთან, ხელშეკრულებების საფუძველზე სკოლების მიმაგრება“, — ასე დაადგინა პარტიამ.**

ამისათვის ყველა ორგანიზაციას მიეცა წინადადება — დაეხმარონ სკოლებს ამ სახელოსნოების შექმნაში და გამოჰყონ მათთან საჭირო მოწყობილობა და ხელსაწყოები.

საკავშირო რესპუბლიკების განსახკომებმა უნდა შექმნან ყველა რაიონსა და ქალაქში სამაგალითო სკოლების ქსელი და პატარა პოლიტექნიკური მუზეუმები. რომელნიც სამსახურს გაუწევენ მრავალ სკოლას.

კინო, რადიო და ლიტერატურა უნდა შემობრუნდენ და დაეხმარონ მათ სასწავლო მუშაობაში. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ სკოლებში კლასიური სიფრთხილე და უშუალო ზე-



■ აზნავეთი ახალი ფაბრიკა ■

დამხედველობა გაუწიონ საზოგადოპოლიტიკური დისციპლინების სწავლების საქმეს შვიდწლედებში, ტეხნიკუმებში და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში.

ც. კ. დაადგინა აგრეთვე წინადადება მიეცეს საკავშირო სახკომსაბჭოს —დაამუშაოს საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლის გეგმა.

### უზრუნველვყოთ სკოლა პედაგოგებით

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პედაგოგების მომზადებას. „სახალხო მასწავლებელი, — ამბობდა ლენინი, — უნდა იყოს ჩვენში ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არასდროს არ მდგარა და არც შეუძლია იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში".

უნდა გამოვიმუშაოთ პედაგოგთა მომზადების გეგმა, რომ სავსებით უზრუნველვყოთ მასწავლებლებით ყველა საშუალო და დაწყებითი სკოლა.





საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრია

# ომი იქნება

ეროვნული

### მხოლოდ ორი სიტყვა, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი.

#### დაიკარგა უგზოუკვლოდ

ვინ დასთვლის, საბჭოთა კავშირის — და განა მარტო საბჭ. კავშირის — ველები რამდენი ადამიანის სისხლით, ტვინით და ძვლებით არის გაპოხიერებული. რამდენი სიმდიდრე შთანთქა ომმა. ხალხის სისხლით და ოფლით მოპოვებული.

700.000.000.000 ოქროს მანეთი. იცით, რამდენია ეს ფული? მსოფლიოს უდიდეს კაპიტალისტ („ავტომობილების მეფის") ფორდს, რომელსაც ამერიკაში 60 ქარხანა აქვს, ქარხანა კი სხვა ქვეყნებში, რომელსაც აქვს საკუთარი რკინისგზები, მაღაროები, გემები, საკუთარი ტყეები, მთები, მდინარეები, რომლის თაბ. - ქარხნებსა და მაღაროებში მუშაობს იმდენი ხალხი, რამდენიც ცხოვრობს მოსკოვში, რომ დაუმატოთ კიდევ ნახევარი ლენინგრადი,—აი ამ კაცის მთელი ეს ქონება მხოლოდ 2 მილიარდს უდრის. ახლა ნათელი გახდება ის სიმდიდრე, რომელიც მსოფლიო ომმა თავის გაუმაძღარ მუცელში გადაუძახა. განა მარტო ეს სიმდიდრე! რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე დაწვა ბრძოლის ველზე, რომ აღარ ამდგარიყო, რამდენმა დაჰკარგა ხელი, ფეხი. რამდენი დაიგუდა გაყინულ სანგრებში მახრჩობელა გაზისაგან. რომლებსაც ისინი, ალბათ, ფიქრობდნენ დაჟინებით იმაზე, თუ რისთვის არის საჭირო ომი, რომელიც შავი აჩრდილივით დააწვა ქვეყანას!

1915 წელს ვერდენთან ბრძოლის დროს ორი კვირის განმავლობაში დაიხოცა - განადგურდა 40.000 რაზმი, ე. ი. 4-ჯერ მეტი, ვიდრე რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

#### 30.000.000 დაბრუნდა შინ ინვალიდებად

მათ შრომის უნარი დაჰკარგული ჰქონდათ.

#### 8.000.000 დაიკარგა უგზოუკვლოდ

მათი ტანი ზარბაზნის ყუმბარებმა მიწას მიასრისა ისე, რომ მათ ადგილას სისხლიანი ლაქა დარჩა.

#### 11.000.000 კაცის სიცოცხლე. მათი ბედი მხოლოდ ერთი სიტყვით გამოიხატება—დაიხოცნენ.

19 მილიონი მოკლული.
30 მილიონი ინვალიდი.
გაღამწვარი ველები.
აოხრებული ქალაქები და სოფლები.

შიმშილი, სიცივე — ხოლერა, — აი, რაც დაგვიტოვა მსოფლიო ომმა.

მას შემდეგ 14 წელიწადი გავიდა. დღეს საბჭოთა ველებზე, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად გრიალებდნენ ზარბაზნები და ისმოდა კვნესა, — გუგუნებენ ტრაქტორები, კომბაინები და მუშათა კლასის რაზმებს ბრძოლა აქვთ გაჩაღებული, სადაც არც არავინ კვდება, არც არავინ ტირის, სადაც ბრძოლაა სოციალიზმისათვის.

იქ, სადაც ჯერ კიდევ არსებობენ მჩაგვრელები და დაჩაგრულები, საბჭოთა საზღვრებს იქით, — ბრძოლა არ შენელებულა. ჰაერში დგას დენთის სუნი.

განწყობილება დაძაბულია და საჭიროა მხოლოდ მცირე საბაბი, რომ ფრაკებცილინდრიანებმა, „კაცთმოყვარე" კაპიტალისტებმა, რომლებიც სულ მუდამ მშვიდობიანობაზე ლაქლაქებენ, ცბიერი ღიმილი კბილთაღრჭენით შესცვალონ და ცოფიანი ძაღლებივით ეტაკონ ერთმანეთს.

ამის ნიშნები უკვე არის. გერმანია ემზადება საფრანგეთის წინააღმდეგ, საფრანგეთი — გერმანიის წინააღმდეგ, ინგლისი — ამერიკის წინააღმდეგ, ამერიკა — იაპონიის წინააღმდეგ. იაპონია თავს დაესხა ჩინეთს, იქ ბრძოლა უკვე დაიწყო.

ჩინელი გენერლები კბენენ ერთმანეთს და აფთართა მთელი ეს შავი ხროვა ემზადება ჩვენს წინააღმდეგ.

პაპი პიი, რომლის გასავალი ნომერი XI არის, მუსოლინის ეს ტაკიმასხარა, ფიქრობს მოაწყოს ჩვენს წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომი".

არის ერთი ბურჟუაზიული გაზეთი, რომელსაც ჰქვია „დეიტჩე იუგენდრკრაფტ". მასში სულ ცოტა ხნის წინად გერმანიის კათოლიკური კავშირი აცხადებდა ყველას საყურადღებოდ:

„არა მხოლოდ ჯანსაღი და მძლავრი თაობის აღზრდაა ჩვენი მიზანი, არამედ ამასთან ერთად ჩვენი მიზანია აღვზარდოთ მძლავრი სამხედრო ხალხი, რომელიც შესძლებს სამშობლოს დაცვას".

ეს ასეც ხდება. მაგალითად, მხოლოდ ახალგაზრდა გოგონათა ქრისტიანული კავშირი აერთიანებს და ასამხედროებს 760 ათას ახალგაზრდა გოგონას.

ჩამორჩენილ გოგონებს ეკლესია გონებას უბნელებს და ზრდის მათ სისხლიანი სასაკლაოსათვის.

რამდენია იაპი, რომლებიც გადიან სამხედრო აღზრდას?

ამაზე მხოლოდ ერთი პასუხია:

ბურჟუაზია ცდილობს მოამზადოს თავის დასაცავად ყველა.

ავიღოთ, მაგალითად, ფაშისტური იტალია.

ვერ ასწრებს ბავში ფეხის ადგმას, რომ მას უკვე წერენ საბავშო - სამხედრო ორგანიზაციაში „ბალილა“.

რამდენიმე წლის შემდეგ ბავში „ბალილა“-დან გადაჰყავთ მეორე ორგანიზაციაში „„ავანგარდში“, გოგონები კი გოგონათა სამხედრო ორგანიზაციაში — „პატარა იტალიელი გოგონები“.

ბიჭები და გოგონები ფაშისტურ შავ ხალათებს ატარებენ. მათი გადაყვანა დიდების ორგანიზაციაში ხდება საზეიმოდ, რასაც მუდამ ესწრება ხელისუფლების წარმომადგენელი.

ბავშვებს სამხედრო საქმეს ასწავლიან ფაშისტი ოფიცრები. იმ ბავშვებს, რომლებსაც არა სურთ ამ ორგანიზაციებში შესვლა, სდევნიან. მათთვის ძალიან ძნელია სამუშაოს შოვნა. სამხედრო მომზადება სწარმოებს სკოლებშიაც. ბავშვებს აიძულებენ იარონ სალამოს სამხედრო კურსებზე. ყველგან, სადაც კი შეიძლება, ყველანაირი საშუალებით ცდილობს ბურჟუაზია ჩააგონოს ბავშებს, რომ:

—ის მოვალეა დაიცვას თავისი სამშობლო.

— ის მოვალეა დაიფაროს კაპიტალისტური რესპუბლიკა.

— ის მოვალეა კმაყოფილი იყოს არსებული წესწყობილებით.

ეს ომი მკაცრი და სისხლიანი იქნება.

ეს ომი აქამდეც დაიწყებოდა, ამ ოძს ჩვენს წინააღმდეგ ამზადებდენ 1930 წელს, ეს მავნებელთა (სამრეწველო პარტიის) პროცესზე გამოირკვა. მათ ეს ვერ მოახერხეს, იმიტომ, რომ კაპიტალიზმის დამპალ სხეულს ღრღნის მისი განუკურნებელი სენი — **კრიზისი.**

კრიზისმა შეაჩერა, ჩაჰკლა მათი მრეწველობა. შეერთებულ შტატებში წარსული წლის ივნისში 161 ბრძმედი მუშაობდა, ამა წლის ივნისში კი — მხოლოდ 91.

იმ დროს, როდესაც ჩვენში დავეძებთ მუშა--ხელს, ვგრძნობთ მის ნაკლებობას, კაპიტალისტურ ქვეყნებში 35 მილიონი უმუშევარია.

მიუხედავად ამისა, მათი სამხედრო მრეწველობა იზრდება.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ამხ. **სტალინი** მე-XVI პარტყრილობაზე:

არის ერთი დარგი კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელსაც არ შეეხებია კრიზისი — ეს დარგი სამხედრო მრეწველობაა. იგი მუდამ იზრდება, კრიზისის მიუხედავად. ბურჟუაზიული სახელმწიფოები გაშმაგებით იარაღდებიან. რისთვის? — ისმის კითხვა. რასაკვირველია, არა საუბრისათვის, არამედ ომისათვის, ომი კი სჭირდება იმპერიალისტებს, რადგანაც ეს არის ერთადერთი საშუალება ქვეყნის გადანაწილებისა, გამასაღებელი ბაზრების გაყოფისა, ნედლეული მასალების წყაროების შეძენისა და კაპიტალის დაბანდებისა“.

საბჭოთა კავშირს თორმეტი სახელმწიფო საზღვრავს. დასავლეთის 6 სახელმწიფოს — ფინლიანდიის, ესტონიის, ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის და რუმინეთის, ევროპის ბურჟუაზიის ამ ლაქიების მთელი მოსახლეობა უდრის, 55 მილიონს, მათი არმიის რიცხვი კი იმდენივეა, რამდენიც ჩვენი არმიის.

სულ კი ჩვენ საზღვრებზე მტერს შეუძლია ჩვენს წინააღმ. 1.665.000 ჯარისკაცის გამოყვანა.

რისთვის არის ყოველივე ეს საჭირო? „თუ გსურთ მშვიდობიანობა. განვიარაღდეთ“ — შეიტანა ამხ. ლიტვინოვმა წინადადება ჟენევის „მშვიდობიანობის“ კონფერენციაზე. „მშვიდობიანობის“ მოყვარულებმა ამხ. ლიტვინოვის წინადადება არ მიიღეს: იარაღი „თავდაცვისათვის“ გვჭირდება, — განაცხადეს მათ.

საცოდავები! ისინი ცდილობენ ჩვენს მოტყუებას.

ამერიკამ,
ინგლისმა,
საფრანგეთმა,
იტალიამ,
იაპონიამ,

რათ გაადიდეს თავიანთი სამხედრო ბიუჯეტები 2-ჯერ 1914 წელთან შედარებით?

ჩვენ ვერავინ მოგვატყუებს.

ჩვენ მზადა ვართ!

აი რა თქვა ამხ. სტალინმა ამის შესახებ:

„არცერთი მტკაველი სხვისი მიწისა არ გვინდა, მაგრამ არცერთი გოჯ ჩვენს მიწას არავის დავუთმობთ“.

## ომი იქნება

„კაპიტალისტები ეძებენ კრიზისიდან გამოსავალს ახალი ომის მომზადებით და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმით“.

**(სტალინი).**

ამის დამადასტურებელ მაგალითს წარმოადგენს ის, რომ ფინლანდიაში სკოლებში აწყობენ შემოწირულობების მოგროვებას თვითმფრინავისათვის: „პასუხი საბჭოთა კავშირს“.

ეს უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ საბჭოთა კავშირის პიონერებს და მოწაფეებს.

## სამხედრო საქმის ცოდნაში, წითელი არმიისათვის დახმარების უნარიანობაში ჩვენ უნდა გავუსწროთ ფაშისტურ ბავშვებს

როდესაც საბჭოთა ცაზე დაიგუგუნებენ მტრის თვითმფრინავები, როდესაც მტერი შეეცდება ჩვენი საზღვრების გადმოლახვას, — პიონერები და მთელი საბჭოთა კავშირის ბავშვები მზად უნდა იყვნენ მხარში ამოუდგნენ თოფოსნებს და პირველ რიგში იდგნენ წითელი არმიის დასახმარებლად და მტრის მოსაგერიებლად.



არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პიონერი მომავალი წითელარმიელია. წითელ არმიაში მომზადებული უნდა მივიდეთ ჩვენ.

ჩვენ უნდა ვიყოთ გამძლე, ამტანი და ჯანმრთელნი.

გაიმაგრეთ თქვენი სხეული ფიზკულტურით, სპორტით, გამოიმუშავეთ თქვენში: სიმარდე, სისწრაფე, სიზუსტე, ყურადღება, მოფიქრება.

მტკიცეთ შეისწავლეთ, თუ როგორ უნდა მოეპყრათ მარტივ სამხედრო იარაღებს, გაზის საწინააღმდეგო ნიღაბს, შაშხანას. შეისწავლეთ სამხედრო წყობის საფუძვლები, პირველი სანიტდახმარება.

მომავალი ომი იქნება არა მარტო ადამიანთა ომი, არამედ მანქანათა ომიც. შეისწავლეთ მოდელები, თვითმფრინავი, ავტომობილი, მოტორი, რადიო. მოითხოვეთ სამხედრო სწავლების, თავდაცვა-ავიაქიმის საათების შემოღება და არ გაუშვათ ამ საგნების გაცდენა. **გაამაგრეთ კავშირი წითელ** არმიასთან, [illegible]ტთან, წითელ საჰაერო ფლოტთან. გასწიეთ აგიტაცია თავდაცვა-ავიაქიმის სასარგებლოდ, წითელ არმიასთან კავშირის სასარგებლოდ. როდესაც დაიპყრობთ მარტივ ტექნიკას, ვიქნებით მაგარი, ამტანნი, მჭიდროდ ვიქნებით დაკავშირებულნი მშვიდობიანობის და თავისუფალი შრომის დამცველ წითელ არმიასთან. მთელი ქვეყნის მშრომელთა ბავშვებთან ერთად შეგვეძლება ვთქვათ:

— ჩვენ ვართ ყველაზე ახალგაზრდა წითელარმიელები მსოფლიო რევოლუციის არმიისა.

მუშათა კლასის საქმისათვის მუდამ **მზად ვართ!**



— [illegible] კომკავშირელი —

# ბამბის ფრონტი

საქ. კ.პ.(ბ) ცეკას დადგენილებაა— ხვალ, 29 ოქტომბერს, გავემგზავროთ ბამბის საკრეფად ალაზნის ველზე. იქ ბამბის ფრონტია... გეგმის შესრულება ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავისათვის ჩვენს დახმარებას მოითხოვს, — ასე დაამთავრა მომხსენებელმა თავისი სიტყვა და ტრიბუნიდან ჩამოვიდა. — მაშინ ყველაფერი მოგვარებულია, — იმეორებს კრების თავმჯდომარე — ხვალ, საღამოს 7 საათზე შევგროვდით. აქედან ერთობრად და ორგანიზაციულად წავალთ სადგურში.

29 ოქტომბრის საღამოს 7 საათია. ბამბის ფრონტზე წამსვლელნი შეგროვილან თავიანთი საწოლებით. 9 საათზე სადგურში ვართ 300 ახალგაზრდა, ველოდებით მატარებელს.

ყველა სიხარულითაა სავსე; სიცილი, ხუმრობა და სიმღერა საერთო მოვლენად გადაიქცა. ზოგნი კიდევ ერთმანეთს ეჯიბრებიან სიტყვიერად ბამბის კრეფაში.

— აქ ბევრს ნუ ლაპარაკობთ, იქ, ბამბის ფრონტზე, ვნახოთ ვინ-ვის აჯობებს.

— ვნახოთ, ვნახოთ — ყიჟინებენ ენტუზიასტები.

უკვე წასვლის დრო მოახლოვდა. ყველა ვაგონებშია. ორთქლმავალი ჯერ შეჰკივლა, მერე მაგრად ჩაახველა, შემოიკრიბა რაც ძალ - ღონე ჰქონდა და გზას გაუდგა.

30 ოქტომბერს დილის 11 საათზე წნორის - წყალზე ვართ. წნორის წყლის იქით მატარებელი არ მიდის. წნორის წყლიდან ბამბის საკრეფ მოედნამდე კიდევ 35 კილომეტრია. აქედან კი ავტომობილებით უნდა წავიდეთ.

— 300 კაცის გადაყვანა არც ისე ადვილი საქმეა, შეიძლება საღამომდე დარჩეთ, — ამბობს ავტომობილის მიმოსვლის მომწესრიგებელი.

სტუდენტები ათვალიერებენ წნორის - წყლის მიდამოებს, ქუჩებში საშინელი მტვერი დგას. წვიმა იშვიათად მოდის. აქ ყოველ წუთში მოდის ბამბის და თამბაქოს ბარდანებით დატვირთული ავტომობილები და ფურგუნები. აქეთ მოაქვთ ბამბა და იქით კი მიჰყავთ ბამბის საკრეფად ჩამოსული კოლმეურნე გლეხები და სტუდენტები, საწყობები სავსეა დამძლარი ბამბის ბარდანებით და თამბაქოთ.

ალაზნის ველზე არა მარტო ბამბა მოჰყავთ, არამედ აქ თესვენ კანაფს, რამს და სხვა. ალაზნის ველი მეტად მდიდარი ადგილია. ამ თვალუწვდენელი ველების დამუშავება სოციალისტურ ქარხნებს საუკეთესო და მეტად დიდძალ ნედლ მასალას მისცემს.

ალაზნის ველის მებამბეობის ნაკვეთი დაყოფილია 5 ხუტორად (უბნად). პირველი ხუტორი ცენტრალური ხუტორია, იგი ანაწილებს მუშახელს ხუტორებს შორის, რომელნიც ერთმანეთისაგან 7—8 კილომეტრით არიან დაშორებული.

31 ოქტომბერს უკვე ალაზნის ველის შუა ადგილზე ვართ, რომელ მხარესაც გაიხედავთ, თვალმიუწვდომელი ველებია. იგი 160 კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული, ნიადაგი მეტად ნოყიერი და გამოსადეგია. ეს უზარმაზარი ველი გამოუყენებელი და დაუმუშავებელი იყო, ეხლა კი ალაზნის ველის ყველა კუთხეში გუგუნებენ ტრაქტორების რაზმები და ღრმად აბრუნებენ ათასი წლობით მოსვენებულ ალაზნის ველის გულს, ანგრევენ მთელი საუკუნოებით გამეფებული მყუდროების საძირკველს და ჰქმნიან ტექნიკური მცენარეების ბაზას. ამჟამად აქ გამართულია მებამბეობის უზარმაზარი საბჭოთა მამული, ფეხს იკიდებს რამის კულტურაც.

სამუშაოდ უკვე მზად ვართ. ხელმძღვანელებად ოთხი გამოცდილი მუშები გვყავს. ისინი გვასწავლიან ბამბის წესიერ კრეფას.

ჩაფლული ვართ ბამბის ქულებით გადათეთრებულ თვალუწვდენელ ველში.

— აბა, შეჯიბრება არ დაგავიწყდეს!

— აბა, ვინ - ვის აჯობებს!

ბამბის საკრეფად წელში მოხრილი ბიჭები უკიჟინებენ ერთმანეთს ყველა გამალებული ფუსფუსებენ ბამბის ქულებთან, დაინტერესებული არიან, რომ დრო არ დაკარგონ და ბამბა ბევრი მოკრიფონ. ვინ - ვის აჯობებს — ეს, ალბათ, საღამოს, ბარდანებში ჩაკრეფილი ბამბის აწონის დროს, გამოჩნდება.

აქ ბამბის საკრეფად მოსული არიან მახლობელი კოლმეურნე გლეხები. ისინი საუკეთესოდ და მეტად ერთგულად მუშაობენ. ბევრია მათში საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნე. შიუკაშვილის ბრიგადა მთლიანად დამკვრელი ბრიგადაა, იგი წითელ დაფაზე გამოაკრეს და კიდევაც დააჯილდოვეს.

ალაზნის ველზე გაშლილია ბამბის ფრონტი და ამ სამეურნეო ფრონტზე გამარჯვებისათვის ბოლშევიკურად იბრძვიან ჩვენი ბრიგადები (უპარტიოებიც ამათთან არიან), დილიდან საღამომდე ხალისიანად მუშაობენ, ბარდანებს პირამდე ავსებენ და ისე ბრუნდებიან საღამოს სასწორთან, რომ გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

**რაფ. მელაძე.**

# ქაღალდი გაზეთამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაც შეიძლება მეტი ქაღალდი!

მთელ საბჭოთა კავშირში ყოველდღიურად გამოდის ათეული მილიონი ცალი გაზეთი. საბჭოთა კავშირის სტამბებიდან ყოველდღიურად გამოდის ასეული ათასი ნაბეჭდი წიგნი და ჟურნალი.

ჩვენი ქვეყნის კულტურული რევოლიუცია მოითხოვს რაც შეიძლება მეტ ქაღალდს.

—ქაღალდი, რაც შეიძლება მეტი ქაღალდი!

აი, კულტურული რევოლიუციის გზაზე შემდგარი ქვეყნის ყოველდღიური ძახილი.

კულტურული ადამიანის მოთხოვნილება ძალზე დიდია.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითო ადამიანზე საშუალოდ 80 კილო ქაღალდი იხარჯება, საბჭოთა კავშირში კი მხოლოდ 4 კილო, ე.ი. 20-ჯერ ნაკლები.

ყოველწლიურად იზრდება ქაღალდის მრეწველობა. 1924 წელს მთელ მსოფლიოში გამოშვებულ იქნა 11 მილიონი ტონა ქაღალდი, ხოლო 1928 წელს-14 მილიონი.

რევოლიუციამდე ჩვენი ქვეყნის ქაღალდის ფაბრიკები ფინლიანდიაში იყო თავმოყრილი. ფინლიანდიის ფაბრიკებში გამომუშავებული ქაღალდი არ ყოფნიდა ქვეყნის მოთხოვნილებას. ამიტომ დამატებით საჭირო ქაღალდი სახელმწიფოს შვეციიდან შემოქონდა. ეს გარემოება არ შეიძლებოდა ასე დარჩენილიყო. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში ამუშავდა მსოფლიოში უდიდესი სამი ფაბრიკა-კომბინატი: ბალახანაში (ქ. ნოვგოროდის ახლოს), კონდოპოგეში (კარელიაში) და სიასში (ლენინგრადის ახლოს). მიუხედავად ამისა, საწერი ქაღალდი, გაზეთის ქაღალდი და წიგნის ქაღალდი მაინც არ არის საკმარისი. მოთხოვნილება ქაღალდზე ძლიერ სწრაფად იზრდება. ქაღალდზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ჩვენი ქვეყნის ტყით მდიდარ ჩრდილოეთ რაიონებში განზრახულია ქაღალდის ახალი გიგანტი კომბინატების აგება: ქალ. არხანგელსკში, რომელიც ყოველდღიურად გამოუშვებს 100 ათას ცელულოზას, კოტლაში—ქაღალდის წლიური გამომუშავება 60 ათასი ტონა და ენგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც დაახლოვებით დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას ქაღალდზე.

## მიეცით ქაღალდის ფაბრიკებს ძველ-ძვული, ძონძი და ქაღალდის მაკულატურა

ქაღალდის ფაბრიკებისათვის, ტყის გარდა, ძვირფას ნედლეულ მასალას წარმოადგენს ძველ-ძვული, ძონძი და ქაღალდის მაკულატურა (ძველი გაზეთები, რვეულები და სხვა). საბჭოთა კავშირის ცენტრში, ქ. მოსკოვში, უკვე დაწყებულია ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკამ ყოველდღიურად უნდა გამოიმუშაოს 40 ტონა ქაღალდი. ამით უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური წიგნების, სახელმძღვანელოების, გაზეთების და ტექნიკური ხასიათის ჟურნალების გამომცემლობა, რომელიც კი მოსკოვში იბეჭდება. მოსკოვი ყოველდღიურად ხარჯავს 250.000 ტონა ქაღალდს. რომ მოხერხდეს მოსკოვში წლის განმავლობაში დახარჯული ქაღალდის მესამედის შეგროვება, ფაბრიკა უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულით. მოსკოვში შეგროვილი მაკულატურა აქამდე ქაღალდის ფაბრიკაში მოქონდათ მოსკოვიდან 400-500 კილომეტრის მანძილზე. ასე შორი მანძილი უნდა გაევლო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში შეგროვილ მაკულატურასაც. მკალუატურის შეგროვების ორგანიზაცია, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქაღალდის მრეწველობისათვის, ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

ამ გარემოებას დროულად უნდა მიექცეს პიონერორგანიზაციის და საბჭოთა დაწესებულებების ყურადღება.

ძველ-ძვულის, ძონძის და ქაღალდის მაკულატურის შეგროვება ყოველი საბჭოთა მოქალაქის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, რადგან ეს შეადგენს ერთ-ერთ ნედლეულს ჩვენი ქაღალდის მრეწველობისათვის.

მოსკოვის ქაღალდის ფაბრიკა, რომელიც დამოკიდებული იქნება ქაღალდის მაკულატურაზე, 1932 წ. მიწურულში ამუშავდება.



მშენებლობა რიონჰესზე

## ორი ათასი წლის წინად

ქაღალდი ამ ორიათასი წლის წინად გამოიგონეს ჩინელებმა. ქაღალდს იმათ ამზადებდნენ ლეღვის ბოჭკოსაგან, ზოგიერთ ბალახებისგანაც და ტილოს ძონძებისაგან. 900 წელიწადი შეიქნა საჭირო, რომ ჩინელების ეს გამოგონება ევროპაში გადასულიყო. ჩინელების ამ დიად გამოგონებამდე ადამიანები წერდენ პერგამენტზე, გასუფთავებულ თელის პატარა ნაჭრებზე, ძვალზე და სხვა.

მეხუთმეტე საუკუნეში გუტენბერგმა გამოიგონა წიგნების ბეჭდვა. წიგნების საბეჭდავად საჭირო იყო დიდძალი ქაღალდი. 1799 წელს მუშა ლუი რობერმა გამოიგონა ქაღალდის დასამზადებელი მანქანა.

აქედან ქაღალდის წარმოება სწრაფი ნაბიჯით იწყებს განვითარებას.

## უმთავრესად მდინარეების ნაპირებზე

ჩვეულებრივ ქაღალდის ფაბრიკებს მდინარეების და, იშვიათად, ტბების ნაპირებზე აშენებენ. გაზაფხულობით ჩვეულებრივად იწყება მდინარეების ადიდება. სწორედ ყველაზე უკეთეს დროს ტივების საშუალებით ხეების ჩამოსაცურებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული ითვლება. ქაღალდის ფაბრიკები ამ დროს მარაგდებოდენ ტყის საუკეთესო ჯიშის ნაძვის და ვერხვის მორებით. მდინარეები გადაზიდვის ყველაზე უფრო ადვილი და იაფი საშუალება იყო და არის. ფაბრიკასთან წყალში დაგროვილი ხის მორები ამოჰქონდათ ცოცხალი გამწევი ძალის საშუალებით (ხარები, კამეჩები,). უკანასკნელ ხანებში წყლიდან მორები გამოაქვთ თვით მზიდავების საშუალებით. თვითმზიდავი მოძრაობაში მანქანის საშუალებით მოჰყავთ. წყლიდან ამოზიდული ხის მორები პატარ-პატარა (სიგრძით 1-2 მეტრი) ძელებად, მორებად იხერხება. ეს 1 ან 2 მეტრის სიგრძეზე გადახერხილი ხის ძელები სიგანეზე იხერხება, ამნაირად გამზადებულ ძელებს ჰყრიან დიდ ბრუნავ ლითონის ბარაბანში. ამას ძელების აბანოს უწოდებენ. აქ, წყალში, ისინი ერთმანეთზე იხეხებიან ბარაბნის ფოლადის დანებზე და თავისუფლდებიან ქერქისაგან.

ხის ქერქი არ ვარგა, ის აფუჭებს ქაღალდს.

## „რკინის თათი“

„შიშველი“, (ქერქმოშორებული) თეთრი, სრიალა მორები მექანიკურად მიექანება სტაკერისაკენ. სტაკერი მაღალი ობკახია კოხვეირით. შორიდან მაყურებელს ჰგონია, რომ რაღა გიგანტი „რკინის თათი“, ექვს სართულიანი სახლის სიმაღლიდან მუჭიდან ჰყრის ასანთის ჩხირებს. გადამუშავებული ძელები (მორები) აქედან მიდის ფაბრიკაში მჭრელ მანქანებთან და დეფიბრერებთან. დეფიბრერები (ანუ ხის მხეხავები) ამზადებენ ხის მასას. ხის მასა ეს წკირებია, გადაქცეული წვრილ-წვრილ ბამბის მაგვარ ბოჭკოდ, ეს მზადდება მექანიკურად, ქიმიური საშუალებებით. ქიმიურად დამზადებული წკირი არის ცელიულოზა. მისი ბოჭკოები უფრო წმინდაა, გრძელია და უფრო უკეთ იხვევა.

65 პროცენტი ხის მასის და 35 პროცენტი ცელიულოზას ნარევი იძლევა კარგი ხარისხის ქაღალდს.

## მილიონი ვედრო წყალი

— შ... შ... შ.. შრიალებს, რ..რ—, ხმაურობს დეფიბრერები. მისი გალეხული ხახა ყოველ წუთში ყლაპავს ხის პატარ-პატარა მორებს. დეფიბრების მორგვზე ბრუნავს განსაკუთრებულად გათლილი, მაგარი მრგვალი ქვა როგორც დოლაბი. ამ ქვას ჰიდრავლიკური წნეხით მაგრად ეკვრება გახლეჩილი ძელები.

ხეხვით გახურებული დაფლეთილი, თხიერ ფაფად გადაქცეული ძელები ირეცხება წყლით, შემდეგ, განთავისუფლებული ყოველგვარი მავნე შტოებისაგან, მიდის ეგრედწოდებულ საცერზე, სადაც ნაფოტდება და მექანიკურად გადადის ერთგვარ წისქვილში („რაფნერი“), სადაც იშლება ძლიერ წვრილ ბოჭკოებად. ამგვარად მიიღება ძლიერ თხიერი მასა (ერთ ნაწილ ბოჭკოზე 400 ნაწილი წყალი ).

ქაღალდის ისეთ ქარხანას, რომელიც დღიურად ამოუშვებს ორას ტონა ქაღალდს, დღეში დასჭირდება დაახლოებით მილიონი ვედრო წყალი. წყალი შემდეგ იწურება მანქანის საშუალებით, ასე რომ რჩება ორი ნაწილი — ერთი ნაწილ ხის მასაზე.

## რა არის ცელიულოზა

გამჭვირვალე, როგორც მინა, სამკუთხედები, სათვალეები მოფერებისათვის, მფრინავებისათვის და სხვა ცელიულოზასაგან მზადდება, ცელიულოზა კი ხისაგან მზადდება. ხის ბოლოიგი 4—5 წლის განმავლობაში მშობელ მახქაიებში გადაიქცევა ნაფოტებად (12-15 კვ. სმ.). გაცრილი ნაფოტი მიდის დიდ მაღალ ქვაბებში (5-6 სართულიანი სახლის სიმაღლის), ტარდება გოგირდმჟავას ორთქლში, რომელიც მზადდება აქვე ფაბრიკაში.

სიმჟავე ხსნის ხის შაქრისმაგვარ ნივთიერებებს, ფისს და სტოვებს წმინდა, თეთრ გრძელ ბოჭკოებს.

ცელიულოზა პირველად გააკეთა შვედმა ინჟინერმა ეკმანმა 1874 წ. უცელიულოზოთ არ შეიძლება ქაღალდის გაკეთება. ქაღალდის მასის და ცელიულოზას ნარევით მზადდება თეთრი სქელი ხსნარი.

## „ქაღალდის შარა“

მუდამ მბრუნავ ბარაბანზე იბადება გრძელი, რამდენიმე მეტრიანი ქაღალდის რტყელა (ლენტი). აღნიშნული ბარაბანი გაკეთებულია სიფრიფანა, ბატისტის მაგვარი სპილენძის ბადისაგან. ამ ბადის საშუალებით გამოდის უკვე ქაღალდის ზოლი, რომელიც ჯერ ნოტიო და სველია. შემდეგ ქაღალდის ზოლი (რტყელა) ეხვევა მაუდზე, რომელიც დარბის მომდევრო ბარაბნის მორგვზე. მოძრაობის დროს ქაღალდი შრება და ორთქლის საშუალებით იწნეხება. მომდევნო მორგვები ქაღალდს სწმენდენ, აკრიალებენ სიმძლავრეს აძლევენ. ყოველ წუთში მანქანა უშვებს 250-300 მეტრ და კიდევ მეტ ჯერ კიდევ თბილ ქაღალდს.

ამგვარად მიღებული ქაღალდი დიდრონი რულონებით მიდის საწყობში. საწყობში ქაღალდი ხარისხდება, იჭრება ფურცლებად და ხარისხების მიხედვით იხვევა.

ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ჟურნალ „პიონერი“-ს ფურცლები, რომელსაც თქვენ ახლა კითხულობთ, ოდესღაც ერთი ან რამოდენიმე წლის წინად, ტყეში ამაყად გამოიყურებოდნენ, ხელი სიოს შეხებით დიდჯად ირხეოდენ და შრიალებდენ თავისი წიწვოვანი მწვანე ტოტებით. ძველ-ძონძი, ძონძი და ქაღალდის მაკულატურა საუცხოვო ნედლეულს წარმოადგენენ ქაღალდის ფაბრიკებისათვის. ამათგან, ცელიულოზასთან ერთად, მზადდება მაღალი ხარისხის ქაღალდი.



კომკავშირელი ტრაქტორზე მუშაობს

## ცელიულოზა და ქაღალდი ბალახფიჩვას ნარჩენებისაგან

ქაღალდის ინსტიტუტის ლაბორატორიამ (ლენინგრადი) აწარმოვა ცდები ცელიულოზის და ქაღალდის დასამზადებლად იმ ბალახფიჩვას ნარჩენებიდან, რომელიც გამოყენებულია, როგორც ხედლეული კახიფოლის, სკიპიტარი და სხვა წარმოებებისათვის. აქამდე ეს ნარჩენები გამოუყენებელი რჩებოდა. გამორკვეულია, რომ ბალახფიჩვას ნარჩენებისაგან შეიძლება მიღებულ იქნას მაგარი ცელიულოზა.

## ტყის და ბალახფიჩვას გარდა ქაღალდის მაკულატურა

ხე-ტყის მასალის გარდა, ქაღალდის ფაბრიკების საუცხოვო ნედლ მასალას წარმოადგენს ქაღალდის მაკულატურა, ქაღალდის ძველ-ძველი. საქართველოში მთელი წლის განმავლობაში დაახლოვებით 300.000 ტონა ქაღალდზე მეტი დაიხარჯება. დახარჯული ქაღალდის მესამედის შეგროვებითაც მტკიცე ნედლეულის ბაზას შევუქმნით ჩვენს ქაღალდის ფაბრიკებს.

ქაღალდის მაკულატურის შეგროვების საქმეში ენერგიულად უნდა ჩაებას ყველა პიონერი და მათი ხელმძღვანელობით კი—მთელი მოწაფეობა. ყველამ ვიბრძოლოთ ქაღალდის მაკულატურის შეგროვებისათვის.

ზალოდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულით ითვლება. ქაღალდის ფაბრიკები ამ დროს მარაგდებოდენ ტყის საუკეთესო ჯიშის ნაძვის და ვერხვის მორებით. მდინარეები გადაზიდვის ყველაზე უფრო ადვილი და იაფი საშუალება იყო და არის. ფაბრიკასთან წყალში დაგროვილი ხის მორები ამოჰქონდათ ცოცხალი გამწევი ძალის საშუალებით (ხარები, კამეჩები,). თანამედროვე ხანებში წყლიდან მორები გამოაქვთ თვით მზიდავების საშუალებით. თვითმზიდავი მოძრაობაში მანქანის საშუალებით მოჰყავთ. წყლიდან ამოზიდული ხის მორები პატარ-პატარა (სიგრძით 1-2 მეტრი) ძელებად, მორებად იხერხება. ეს 1 ან 2 მეტრის სიგრძეზე გადახერხილი ხის ძელები სიგანეზე იხერხება, ამნაირად გამზადებულ ძელებს ჰყრიან დიდ ბრუნავ ლითონის ბარაბანში. ამას ძელების ბანოს უწოდებენ. აქ, წყალში, ისინი ერთმანეთზე იხეხებიან ბარაბნის ფოლადის დანებზე და თავისუფლდებიან ქერქისაგან.

ხის ქერქი არ ვარგა, ის აფუჭებს ქაღალდს.

## „რკინის თათი"

„შიშველი", (ქერქმოშორებული) თეთრი, სრიალა მორები მექანიკურად მიექანება სტაკერისაკენ. სტაკერი მაღალი ოხკანია კონვეიერით. შორიდან მაყურებელს ჰგონია, რომ რაღაც გიგანტი „რკინის თათი", ექვს სართულიანი სახლის სიმაღლიდან მუჭიდან ჰყრის ასანთის ჩხირებს. გადამუშავებული ძელები (მორები) აქედან მიდის ფაბრიკაში მჭრელ მანქანებთან და დეფიბრერებთან. დეფიბრერები (ანუ ხის მხეხავები) ამზადებენ ხის მასას. ხის მასა ეს წკირებია, გადაქცეული წვრილ-წვრილ ბამბის მაგვარ ბოჭკოდ, ეს მზადდება მექანიკურად, ქიმიური საშუალებებით. ქიმიურად დამზადებული წკირი არის ცელიულოზა. მისი ბოჭკოები უფრო წმინდაა, გრძელია და უფრო უკეთ იხვევა.

65 პროცენტი ხის მასის და 35 პროცენტი ცელიულოზას ნარევი იძლევა კარგი ხარისხის ქაღალდს.

## მილიონი ვედრო წყალი

— შ... შ... შ.. შრიალებს, რ..რ—. ხმაურობს დეფიბრები. მისი გალეხული ხახა ყოველ წუთში ყლაპავს ხის პატარ-პატარა მორებს. დეფიბრების მორგვზე ბრუნავს განსაკუთრებულად გაკეთებული, მაგარი მრგვალი ქვა როგორც დოლაბი. ამ ქვას ჰიდრავლიური წნეხით მაგრად ეკვრება გახლეჩილი ძელები.

ხეხვით გახურებული დაფლეთილი, თხიერ ფაფად გადაქცეული ძელები ირეცხება წყლით, შემდეგ, განთავისუფლებული ყოველგვარი მავნე შტოებისაგან, მიდის ეგრედწოდებულ საცერზე, სადაც ნაფოტდება და მექანიკურათ გადადის ერთგვარ წისქვილში („რაფნერი"), სადაც იშლება ძლიერ წვრილ ბოჭკოებად. ამგვარად მიიღება ძლიერ თხიერი მასა (ერთ ნაწილ ბოჭკოზე 400 ნაწილი წყალი ).

ქაღალდის ისეთ ქარხანას, რომელიც დღიურად ამოუშვებს ორას ტონა ქაღალდს, დღეში დასჭირდება დაახლოებით მილიონი ვედრო წყალი. წყალი შემდეგ იწურება მანქანის საშუალებით, ასე რომ რჩება ორი ნაწილი — ერთი ნაწილ ხის მასაზე.

## რა არის ცელიულოზა

გამჭვირვალე, როგორც მინა, სამკუთხედები, სათვალეები მოფერებისათვის, მფრინავებისათვის და სხვა ცელიულოზასაგან მზადდება, ცელიულოზა კი ხისაგან მზადდება. ხის ძირითადი 4—5 ჭაპის განმავლობაში მჟაველ მახჭაოებში გადაიქცევა ნაფოტებად (12-15 კვ. სმ.). გაცრილი ნაფოტი მიდის დიდ მაღალ ქვაბებში (5-6 სართულიანი სახლის სიმაღლის), ტარდება გოგირდმჟავას ორთქლში, რომელიც მზადდება აქვე ფაბრიკაში.

სიმჟავე ხსნის ხის შაქრისმაგვარ ნივთიერებებს, ფისს და სტოვებს წმინდა, თეთრ გრძელ ბოჭკოებს.

ცელიულოზა პირველად გააკეთა შვედმა ინჟინერმა ეკმანმა 1874 წ. უცელიულოზოთ არ შეიძლება ქაღალდის გაკეთება. ქაღალდის მასის და ცელიულოზას შერევით მზადდება თეთრი სქელი ხსნარი.

## „ქაღალდის შარა"

მუდამ მბრუნავ ბარაბანზე იბადება გრძელი, რამდენიმე მეტრიანი ქაღალდის რტყელა (ლენტი). აღნიშნული ბარაბანი გაკეთებულია სიფრიფანა, ბატისტის მაგვარი სპილენძის ბადისაგან. ამ ბადის საშუალებით გამოდის უკვე ქაღალდის ზოლი, რომელიც ჯერ ნოტიო და სველია. შემდეგ ქაღალდის ზოლი (რტყელა) ეხვევა მაუდზე, რომელიც დარბის მომდევრო ბარაბნის მორგვზე. მოძრაობის დროს ქაღალდი შრება და ორთქლის საშუალებით იწნეხება. მომდევნო მორგვები ქაღალდს სწმენდენ, აკრიალებენ სიმძლავრეს აძლევენ. ყოველ წუთში მანქანა უშვებს 250-300 მეტრ და კიდევ მეტ ჯერ კიდევ თბილ ქაღალდს.

ამგვარად მიღებული ქაღალდი დიდრონი რულონებით მიდის საწყობში. საწყობში ქაღალდი ხარისხდება, იჭრება ფურცლებად და ხარისხების მიხედვით იხვევა.

ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ჟურნალ „პიონერი"-ს ფურცლები, რომელსაც თქვენ ახლა კითხულობთ, ოდესღაც ერთი ან რამოდენიმე წლის წინად, ტყეში ამაყად გაიოიყურებოდეი, ხელი სიოს შეხებით დიდჯად ირხეოდენ და შრიალებდენ თავისი წიწვოვანი მწვანე ტოტებით. ძველ-ძონძი, ძონძი და ქაღალდის მაკულატურა საუცხოვო ნედლეულს წარმოადგენენ ქაღალდის ფაბრიკებისათვის. ამათგან, ცელიულოზასთან ერთად, მზადდება მაღალი ხარისხის ქაღალდი.



კომკავშირელი ტრაქტორზე მუშაობს

## ცელიულოზა და ქაღალდი ბალახფიჭვას ნარჩენებისაგან

ქაღალდის ინსტიტუტის ლაბორატორიამ (ლენინგრადი) აწარმოვა ცდები ცელიულოზის და ქაღალდის დასამზადებლად იმ ბალახფიჭვას ნარჩენებიდან, რომელიც გამოყენებულია, როგორც ნედლეული კანიფოლის, სკიპიდარი და სხვა წარმოებებისათვის. აქამდე ეს ნარჩენები გამოუყენებელი რჩებოდა. გამორკვეულია, რომ ბალახფიჭვას ნარჩენებისაგან შეიძლება მიღებულ იქნას მაგარი ცელიულოზა.

## ტყის და ბალახფიჭვას გარდა ქაღალდის მაკულატურა

ხე-ტყის მასალის გარდა, ქაღალდის ფაბრიკების საუცხოვო ნედლ მასალას წარმოადგენს ქაღალდის მაკულატურა, ქაღალდის ძველ-ძველი. საქართველოში მთელი წლის განმავლობაში დაახლოვებით 300.000 ტონა ქაღალდზე მეტი დაიხარჯება. დახარჯული ქაღალდის მესამედის შეგროვებითაც მტკიცე ნედლეულის ბაზას შეუქმნით ჩვენს ქაღალდის ფაბრიკებს.

ქაღალდის მაკულატურის შეგროვების საქმეში ენერგიულად უნდა ჩაებას ყველა პიონერი და მათი ხელმძღვანელობით კი—მთელი მოწაფეობა. ყველამ ვიბრძოლოთ ქაღალდის მაკულატურის შეგროვებისათვის.

ჯალოდია.

# — რა კეთდება სა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაშინ, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნები ახალი ომებისათვის ემზადებიან, საბჭოთა კავშირის მშრომელები ბოლშევიკური ტემპების გაშლით ახალ-ახალ ინდუსტრიალურ გიგანტებს აგებენ.







# ბჭოთა კავშირში —

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერებო, ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ხუთწლედის მეოთხე წელში ხუთწლიან გეგმის წარმატებით დამთავრებისათვის.









# ენდა ნავიდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

გლეხი კომბოსტოთი დატვირთული ურმით მიდიოდა. ურმის წინა ნაწილზე ცამეტ-თორმეტი წლის ბავში უჯდა და მხიარული თვალებით შესცქეროდა ხალხს, საიდაიაც შავი გორ გალივით დახვეული კვამლი ამოდიოდა.

— ხედავ, მამილო, ზაფხულია, საშინლად ცხელა, იმ მოსახლისას კი დიდი ცეცხლი ანთია. კვამლი ცასა წვდება.

—სად შვილო?—შეეკითხა მამა.—

— აჰა, იქ,—ბავშმა თითი გაიშვირა იმ სახლისაკებ, სადაც შავი კვამლი ცამდე აჭრილიყო.

შუახნის ჭალარა მამას გაეცინა, ბავში გაკვირვებით ხან მამას გადახედავდა, ხან იმ სახლს. უკვირს რად გამოიწვია მისმა სიტყვამ მამის ტუჩებზე ღიმილი.

— ჰაი, შვილო, პატარა ხარ ჯერ, სოფელს არ გაცილებიხარ. იცი, იქ რა ცეცხლი ანთია? ეგ ჩვენი საამაყო ქარხანაა. შენ რომ სოფლელი არ იყო და ქალაქში გაზრდილიყავ, მაშინ სოფლური გულუბრყვილობა უკან დაგრჩებოდა. შენოდენა ქალაქელ ბავშებს ეგ სიტყვები სიცილს აუტეხდა. მათ ქალაქის ბევრი რამ იციან.

2.

პატარა ტატე მამას გაკვირვებული შესცქიროდა. უკვირდა მისმა კითხვამ რად გამოიწვია ასე გრძელი პასუხი. ბავში ცნობისმოყვარეობით ბევრს ლაპარაკობს.

— მამილო, მე ვიცნობ ქალაქელ ბავშებს. იქ ბევრი პიონერია. ისინი ჩვენთან მოდიან. ბევრ რამეს გვიხსნიან, გვასწავლიან...

— გასწავლიან, მაგრამ სანამ თვალით არ გიახავს, უცხო რამ ეგრე გაგაკვირვებს. აქ, შვილო, ქარხანაა, საკონსერვო ქარხანა. ჰაი დედასა, ურმებით გადააქვთ სადგურში, ვაგონებს ავსებენ, ავსებენ და მიაქვთ..

მამა-შვილი ასეთი საუბრით მიადგენ ქარხნის ეზოს ჭიშკარს. კარებთან უკან ნელი ნაბიჯით გუშაგი დადიოდა. გლეხის მიახლოვებისას შეჩერდა, სახე მეურმისაკენ მიიბრუნა.

— ამხანაგო, ჩვენი კოლექტივის ქარავანს ჩამოვრჩი, ხომ შესაძლებელია ეზოში შემიშვა?

— თქვენ რა ჩამოიტანეთ?

— კომბოსტო.

— შეგიძლიათ შესვლა. მიბრძანდით—უპასუხა გუშაგმა.

მეხრემ კამეჩებს შოლტი გადაჰკრა. კამეჩები ჭიშკარში ზლაზნვითა და კუდის ნელი ქნევით შევიდენ. პატარა ბიჭი სახრეს განუწყვეტლივ სცემს კამეჩებს, თვალი კი ქარხნის ღია კარისაკენ აქვს, სადაც ლურჯ ტანისამოსში გამოწყობილი მუშები ირევიან.

3.

ქარხანა სავსეა მუშებით, მაგრამ ადამიანის ხმა არ ისმის.. ისმის მხოლოდ მანქანების ქშინვა, ხმაური.

— აუ, მამა, რამდენი ვაშლია! შეშინებულივით წამოიძახა ბავშმა, როცა პირველად მოჰკრა თვალი ფარდულში ერთად დაყრილ უამრავ ვაშლს.

მამა კი ისევ კამეჩებს ერეკება წინისაკეხ.

— შვილო, კამეჩებს შოლტი გადაჰკარ, მერე კი.. მერე ქარხანაშიც შეგიყვან. გაჩვენებ, როგორ ტრიალობს იქ მუშის მკლავი, როგორ გადადიან ღვედები ჭალიდან-ჭალზე.

ბავში სიხარულით კინაღამ გადმოხტა ურმიდან. მას ძლიერ აინტერესებდა ქარხნის დათვალიერება. ტატეს გაგონილი ჰქონდა ამ ქარხნის სახელი, მაგრამ თვალით კი დღევანდლამდე არ ენახა. ვინ იცის, რამდენი ასეთი „პატარა“ ბიჭი გვყავს და მათ ჯერ კიდევ არ უნახავთ ჩვენი ახალი ფაბრიკა-ქარხნები..

ტატეს მამა რიგში ჩადგა იქ, სადაც მრავალი ურემი იდგა ნედლი მასალით დატვირთული. ჯიო დგას რიგში. ბიჭი კი გაკვირვებულია, რომ ხედავს ამდენ ფოფუსფუსე ხალხს.

— ამდენ ხანს შევსცქერი, მამილო, ამ ხალხს და ერთი რამ მიკვირს: ყველანი ფუსფუსებენ, მაგრამ ერთმანეთს არ ეჯახებიან.

— როგორ თუ ეჯახებიან... ესენი ხომ თავიანთ საქმეში გაწვრთნილი არიან.

— ჯიო, ბავში დაინტერესებულია, ახალი ცხოვრება სურს თავისი თვალით ნახოს. ტატე გაიზრდება, მოაგონდება მერე.. მოაგონდება თავისი ეზოდან გადადგმული პირველი ნაბიჯი. წაიყვა, წაიყვა ქარხანაში,—უთხრა მეზობელმა მეურმემ ჯიოს.

ჯიოს ჭკუაში დაუჯდა მეზობელი მეურმის რჩევა, ვინაიდან თვითონაც ასე სურდა. თავისი ურემი ამხანაგს ჩააბარა, მარჯვენა ხელი ტატეს დაეჭირა.

ქარხნის კარს მიუახლოვდეხ. დათვალიერების ნებართვა აიღეს.

ტატემ რომ ღია კარში შეჰყო თავი, მან წარმოიდგინა, თითქოს კარს იქით სხვა ქვეყანაში შესდგა ფეხი. ათას ხუთასი მუშა სამიათასი მკლავით აკეთებს უამრავ სხვადასხვა საქმეს. იხარშება უამრავი ხილეულობა. იცლება ქვაბები. ივსება ყუთები და კონსერვით სავსე მიდის უკვე მომხმარებლისაკენ.

— იმუშავე, ამხანაგო, ლაპარაკი ზედმეტია,—მიმართა ერთმა მუშამ მეორეს, რომელიც იქვე გვერდით უდგა. ისიც გაჩუმდა და უფრო მეტი სისწრაფით დაატრიალა ჩარხი.

—შენ, ამხანაგო, სოცშეჯიბრებაში ვინ გყავს გამოწვეული?—იკითხა ერთმა კაცმა, რომელსაც ხელში ქაღალდი და ფანქარი ეჭირა, თმაც კოხტად ჰქონდა გადავარცხნილი.

— ედიშერი, უპასუხა მოკლედ და არც კი შეუხედია, თუ ვინ ეკითხებოდა. იგი ატრიალებს ბორბალს და ჭალიდან-ჭალზე ცურვით გადადის გალესილი ღვედები.

— შენ კარგად მუშაობ. სანარდო მუშაობაში პირველობ. წითელი დაფის კანდიდატი ხარ და..

სიტყვა აღარ დაუმთავრებია და სხვა მუშებს ჩაუარა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

კორგაზანს ათვალიერა მამა-შვილმა ქარხნის სხვადასხვა სამუშაო. უცქეროდენ, მაგრამ თვალი მაინც ვერ ძღებოდა. კიდევ სურდათ დიდხანს დარჩენილიყვნენ ქარხანაში.

თერთმეტი საათია.

ქარხანამ აუშვა საყვირი. შეიქნა ჩოჩქოლი, ხმაური, შეჩერდა ყოველგვარი ძრავი, აღარ მოძრაობენ ბორბლები. არამც თუ პატარა ტატეს, ჯიოსაც გაუკვირდა ქარხნის უეცარი შეჩერება.

—გაჩერებით ყველა მუშა თვალის დახამხამებაში შეჩერდა, მაგრამ სამუშაოს დაწყებაზეც თუ ასე არიან გათრთხილებული, მაშინ...—დაბალი ხმით ჩაილაპარაკა ჯიომ. ტატეც გაკვირვებით უგდებდა ყურს მამის სიტყვებს. ქარხანა გაცალიერდა, დარჩა მხოლოდ მანქანები. ბოლოს ჯიო და ტატეც გამოჰყვენ მუშებს.

— რა უამრავი მუშაა, რამდენი მანქანაა!

ტატე ამ სიტყვებს იმეორებდა, სანამ მეურმე გლეხებთან მივიდოდა, შემდეგ კი დაიწყო ამბის თხრობა. გატაცებით მოუთხრობდა იქ მყოფთ ქარხნის შინაურ საქმიანობას. გლეხებს პატარა ბავშის ასეთი ცნობისმოყვარეობა უხაროდათ და ყურს უგდებდენ.

რამდენიმე ხანი გავიდა. გლეხებმა ურმები დასცალეს და პირი შინისა... იბრუნეს. დასხდენ ურმებზე და ...ას კამეჩების ზანტი ნაბიჯები ნელნელა კეცავდეს.

ტატემ შინ მისვლისთანავე ჩაიძინა. ხვალ სკოლაში მიდის და ეშინია დაგვიანების.

5.

დილაა...

მზე მთის მწვერვალებს თავს წამოადგა. პატარა ფეხშიშველა ბავშები წიგნებით იღლიაში გარბიან სკოლისაკენ.

ტატე ბავშვებში აღარ თამაშობს. დგას, წიგნები ხელში უჭირავს, მასწავლებელს ელოდება, მხიარულია, მაგრამ... მასწავლებელი მოვიდა, ტატემ სალამი მისცა, დადგა შორიახლოს და შესცქეროდა მასწავლებელს.

მასწავლებელი მივიდა, ბავშს ხელი დაადო მხარზე და მოფერების კილოთი მიმართა:

— ტატე, რად გაჩერებულხარ, საქმე ხომ არა გაქვს ჩემთან?!

— მასწავლებელო, ცოტა რამ მინდოდა მეთქვა.

— სთქვი რის გეშინია, მოჰყევ.

— გუშინ, მასწავლებელო, გორში ვიყავ. საკონსერვო ქარხანაში შევედი. ძალიან დიდი მუშაობაა. იქ ვნახე მრავალი მუშა, მრავალი მანქანა. ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენი სკოლის მოწაფეთა ექსკურსია მოეწყობოდეს იქ.

მასწავლებელს გაეხარდა, ბავშს დაუყვავა, მოეფერა.

— სწავლა ახლა დაგვეწყო. გეგმაში გვაქვს შეტანილი, უსათუოდ უნდა წავიდეთ.

ტატეს გულში მასწავლებლის სიტყვებმა სიხარული გამოიწვია.

— კარგია, კარგი, მასწავლებელო! სოცშეჯიბრება და დამკვრელობა იქ. უნდა ნახოს კაცმა, რა სიმაღლეზეა აყვანილი! აუცილებელია ჩვენთვის მისი გაცნობა...

ლავრ. ჟიჟინაძე.





## ...ოლ ძევუკ კოლმეურნეების სიტყვა

დღეს კოლმეურნე ენტუზიასტებს
მორჩენილი აქვთ ყველა იარა,
ახალგაზრდული სიცოცხლით თქრიალებს,
ძლევით ტრაქტორმა დაიგრიალა!

ველზე ომია და შეტევები—
...ის სიმღერა გმირულ ხმიანი,
უნდა გარდიქმნას ძველი ცხოვრება,
ძველი ცხოვრება ბნელ-ხავსიანი!

მთელ რესპუბლიკის ბრიგადელებმა
არ იცის საქმე სუსტი, გვიანი,—
დღეს კოლექტივის ყოველი წევრი
არის დამკვრელი ადამიანი!

როცა კი დგება საბრძოლო დღე და
მოჩანს ლამაზი ფართე ველები,—
მაშინ შრომაში ეხმარებიან
კოლექტივებსა ბორისელები!

მაგრამ იგი კი, ვინც ტემპს ჩამორჩა,
ვინც დაიმკვიდრა ცრუ დამკვრელობა,—
გარიყულია სულ ცხოვრებიდან,
რაინც ჩქარია ჩვენი მსვლელობა!

არ შენელდება წინსვლა და სწრაფვა,
როცა შენება ჩქარია, ჩქარი,
როცა სტალინურ გამბედაობით,
შრომობს დამკვრელი კაცი და ქალი!

უნდა გავასწროთ ათი წლის ვადით,
კაპიტალისტურ ქვეყნებს აშკარად,
კაპიტალიზმი უნდა გაუქმდეს
იწოდებოდეს მუდამ არარად!

და... სიხარული კოლმეურნეებს
მოგვემატება, მოგვემატება,
ხუთას თვრამეტის გიგანტებიდან
ყველა რომ მალე აიმართება!

შრომის გმირია, ვინც ტემპებს დასცხებს,
ვინც კოლექტივის ღვიძლი შვილია.
და ვისაც ახლავს გამბედაობა
ვინც კი ბრძოლებში გამოცდილია!

ვინც ჩამორჩება ტემპებს სასირცხვილოდ,
...ს არ ასცდება გაკიცხვა, გმობა,
...ს შავ დაფაზე გაკრულ იქნება,
და მოეშლება დამკვრელთა ძმობა!

ჰაშ, კოლექტივებს ვაშა, სალამი,
სალამი ყველას, დამკვრელებს ტემპში,
არ დავიზაროთ გმირული შრომა,
გინდ ვიყოთ ქარში, გინდ ვიყოთ მზეში.

ზაქრო სამადაშვილი.

# ნორჩი ტექნიკოსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკა მეტის-მეტად აინტერესებს ბავშვებს. საბჭოთა კავშირში ნორჩ ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი ლაშქარია. ეს ბავშვები მუშაობენ ბავშვთა ტექნიკურ სადგურებში, წრეებში, ეცნობიან ტექნიკის სხვადასხვა დარგს, ზოგიერთები იწყებენ გამომგონებლობას, ცდილობენ ახალი რაიმე გააკეთონ, ფუსფუსობენ, ჭრიან, ხერხავენ, აკავშირებენ, გაჰყავთ მავთულები. მუშაობენ ბავშვები თავის ბინებშიც, ეზოებშიც, მაგრამ, თუმც ძალიან ბევრ ბავშვს აინტერესებს ტექნიკა, არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც სრულიად არ აინტერესებთ ტექნიკა.

რა ევალებათ ნორჩ ტექნიკოსებს, რა ევალება თითეულ პიონერრაზმს?

მათ უნდა დააინტერესონ ეს ჩამორჩენილი ბავშვები ტექნიკით, უნდა ჩააბან ისინი წრეებში და ტექნიკური სადგურების მუშაობაში.

ბავშვებს შეუძლიათ მოაწყონ რგოლის კუთხე, დადგან რადიო, გაიყვანონ ელექტრობა - ეს ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმეა. მაგრამ კმარა თუ არა ეს? რასაკვირველია, ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება.

მაშ რა არის საჭირო?

ნორჩი ტექნიკოსი დაინტერესებული უნდა იყოს საზოგადოებრივ საკითხებით, ის უნდა იყოს აქტივისტი, პროპაგანდას უნდა ეწეოდეს, რომ ბავშვების მთელმა მასამ შეიძინოს ტექნიკური ცოდნა.

შეუკავშირებელ ბავშვებს ფართოდ უნდა გაუღოთ წრეების, სახელოსნოების, ბავშვთა ტექნიკური სადგურების კარი, მათ უნდა უჩვენოთ, თუ როგორ მუშაობს სხვადასხვა მოწყობილობა, მოტორი, უნდა ჩააბათ გამომგონებლობაში. ბავშვებს უნდა უამბოთ ტექნიკის შესახებ უბრალო, გასაგები ენით, უამბოთ ისე, რომ ისინი დაინტერესდენ, თითონ მოუნდეთ მუშაობა, რაიმეს შექმნა, გამოგონება. ძველი სკოლის მოწაფეებს შიეძინებოდა ხოლმე მერხებზე, როდესაც მათ მასწავლებელი უხალისოთ, გაუგებრად უხსნიდენ არასაინტერესო და უსარგებლო საგნებს. თუ არ დავაინტერესეთ საბჭოთა ბავშვები, იმათაც მიეძინებათ ახსნის დროს, შემდეგ შინ გასწევენ მთქნარებით და არავითარი სურვილი არ ექნებათ იმუშაონ ტექნიკურ წრეებში, ბავშვთა ტექნიკურ სადგურებში.

ერთი ორჯერ, რომ ესტუმრებიან ტექნიკით დაინტერესებული ბავშვები ნორჩ ტექნიკოსებს და გაეცნობიან ბავშვების მიღწევებს, შემდეგ თვითონაც გახალისდებიან და მოისურვებენ მუშაობას, ტექნიკის გაცნობას.

## ტექნიკის საღამოები

როგორ დავაინტერესოთ ბავშვები ტექნიკით, როგორ ჩავაბათ ისინი წრეებსა და ბავშვთა ტექნიკურ სადგურებში სამუშაოთ? ამის საუკეთესო საშუალებაა **ტექნიკის საღამოების** მოწყობა.

ყოველი ტექნიკური წრე მოვალეა მოაწყოს ტექნიკური საღამოები. სადაც წრე არ არსებობს, იქ ცალკეულმა ბავშვებმა—ტექნიკოსებმა უნდა ითაონ ასეთი საღამოების მოწყობა. ყოველ რაზმში, სკოლასა და კლუბებში იქნება ტექნიკით დაინტერესებული რამდენიმე ბავშვი. მათ შეუძლიათ საერთო ძალღონით მოაწყონ ტექნიკური საღამო. მაგალითად, რამდენიმე ელექტროტექნიკოსს შეუძლია შეკავშირება, ბრიგადის ჩამოყალიბება და ელექტრო-საღამოს მოწყობა ისე, რომ საღამო არაფრით არ ჩამოუვარდებოდეს რომელიმე წრის ან ტექნიკური სადგურის მოწყობილ საღამოს.

ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ტექნიკის საღამოებში? მხოლოდ ბავშვებმა?

აუცილებლად საჭიროა დიდებმაც მიიღონ ამ საღამოებში მონაწილეობა —წრეების ხელმძღვანელებმა, ინსტრუქტორებმა, ფიზიკის მასწავლებლებმა, ინჟინერებმა, ტექნიკოსებმა, კვალიფიციურმა მუშებმა, ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა; მათი დახმარებით შეიძლება გაიმართოს საინტერესო საუბარი ბავშვებთან, შეიძლება უჩვენოთ ბავშვებს ისეთი ცდები, რომლების ჩატარებისათვის სპეციალური ცოდნაა საჭირო.

აი როგორ ჩამოყალიბდა ელექტროტექნიკოსების წრე ერთ-ერთ რაზმთან.

უმაღლეს სასწავლებლის ერთ-ერთმა სტუდენტმა ელექტროსადგურის პატარა მოდელი გააკეთა. მას ძმამ სთხოვა —წამოიღე ეს მოდელი და ჩვენი რაზმის პიონერებს უჩვენეო. სტუდენტი დაეთანხმა, დანიშნულ დღეს მიიტანა თავის მოდელი რაზმში, უჩვენა ბავშვებს თავის მუშაობა, აუხსნა, თუ როგორ იყო ეს მოდელი მოწყობილი, უამბო—სად, რამდენი და როგორი ელსადგური შენდება საბჭოთა კავშირში. რა მნიშვნელობა აქვს ელექტრობას ადამიანის ცხოვრებაში. შემდეგ ამოალაგა პატარა ჩემოდნიდან რაღაცა ხელსაწყოები, დააწყო მაგიდაზე, შეაკეთ-შემოაკეთა და, როდესაც ყველაფერი მზად იყო, თქვა: „ვისაც აინტერესებს ელექტრობა, შეუძლია დარჩეს: ცდებს გაჩვენებთო“. ბავშვების უმრავლესობა დარჩა. საღამო ძალიან კარგად ჩატარდა. ბავშვები ათვალიერებდენ ხელსაწყოებს, ერთიმეორეზე ეკითხებოდენ სტუდენტს: „საიდან ჩნდება დენი?“ „როგორ მოჰყვება მავთულებს?“ „როგორ უნდა გაკეთდეს ელექტრო მოტორის მოდელი?“ და სხვა.

ამ შემთხვევითი საღამოს შემდეგ ბავშვები უკვე სერიოზულად დაინტერესდენ ელექტროტექნიკით და რაზმის წრე მოაწყვეს.

## მეტი მოხერხებულობა

ტექნიკის საღამოები შეიძლება იყოს სპეციალური, ტექნიკის ერთი რომელიმე დარგის (მაგ. ელექტრო საღამო), ანდა შერეული —ტექნიკის სხვადასხვა დარგის.

ტექნიკის საღამოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ხელსაწყოების, მოდელების და ცდების ჩვენება.

ხელსაწყოებისა და ცდების ჩვენების დროს უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ ყველა ბავშვი კარგად ხედავდეს იმას, რასაც თქვენ უჩვენებთ, და არა მხოლოდ ის ბავშვები, რომელნიც წინა რიგებში სხედან. მაგიდა ამაღლებულ ადგილას უნდა დადგათ, ანდა მაგიდაზე უნდა მოაწყოთ ამაღლებული ადგილი (დადგით მაგიდაზე ყუთი და ყუთზე მოაწყეთ ჩვენება).

ხელსაწყოებისა და ცდების ჩვენების გარდა, საღამოს შინაარსში შედის მოხსენება, ბაასი. ძალიან კარგი იქნება აგრეთვე მოეწყოს ამ საღამოებზე თხრობა ინსცენირობა, გუნდის მღერა, დეკლამაცია.

ქვემოთ აღწერილია ტექნიკის საღამოების რამოდენიმე პროგრამა, მაგრამ ეს მხოლოდ სანიმუშოა, და რაც უფრო მეტ თავისებურობას და სიახლეს შეიტანენ ბავშვები საღამოს შინაარსში, მით უკეთესი იქნება, მით უფრო საინტერესოდ და ცოცხლად ჩატარდება ტექნიკის საღამო.

## ელვა ზამთარში

ტექნიკის საღამოები სულ მარტივი ცდებით უნდა დაიწყოთ. საღამოსთვის გულდასმით მოემზადეთ, თორემ შერცხვებით.

ამოირჩიეთ ერთ-ერთი ბავშვი, რომელიც უჩვენებს დამსწრეებს ხელსაწყოებსა და ცდებს. ეს ბავშვი კარგად უნდა იცნობდეს ყველა ხელსაწყოს და იცოდეს მათი ხმარება-გამოყენება.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გეგმის წინასწარ შედგენას. უნდა გაითვალისწინოთ რა თანმიმდევრო-

ბით უჩვენებთ დამსწრეებს ხელსაწყოებსა და ცდებს. ხშირად ასე ხდება: ბავშვებმა მოაწყვეს ტექნიკური საღამო.

ყველა ხელსაწყო უკვე მაგიდაზეა, ხალხი იცდის. დროა დაიწყონ, ბავშვები კი დარბიან, ფუსფუსობენ, ღელავენ, ერთმანეთს გადაულაპარაკებენ რაღაცას, საღამოს დაწყებას აგვიანებენ. ხალხს მობეზრდა ცდა, უკმაყოფილება გამოსთქვეს, ბოლოს, როგორც იყო დაიწყეს საღამო. გააკეთეს ერთი ცდა და გაჩერდნენ: ხან ერთ ხელსაწყოს მივარდებიან, ხან მეორეს, ჩურჩულობენ. და ასე გრძელდება მთელი საღამო. რა შთაბეჭდილებას დასტოვებს ასეთი საღამო? რასაკვირველია, დამსწრე ხალხი უკმაყოფილო იქნება და მათ მეორე საღამოზე ველარ მიიკარებთ.

რათ ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ ბავშვებმა წინასწარ არ მოიფიქრეს, თუ როდის რა უნდა ეჩვენებიათ. აუცილებლად საჭიროა წინასწარ ზუსტად განსაზღვროთ, თუ რა თანმიმდევრობით იქნება ნაჩვენები ცდები და ხელსაწყოები, ე. ი. უნდა შეადგინოთ გეგმა ჩვენებისა. თუ ასე მოიქცევით, მაშინ აღარ დაბრკოლებებით, არ იყოყმანებთ, საღამო კარგად ჩატარდება.

საღამოს დაწყებამდე ორი საათით ადრე აუცილებლად უნდა დააწყოთ მაგიდაზე ყველა ხელსაწყო და შეამოწმოთ თითოეული მათგანი-გაფუჭებული ხომ არ არის, ხომ კარგად მუშაობს. ეს აუცილებელია, თორემ ხშირად ასე ხდება: იწყებენ საღამოს, ხელსაწყოების მუშაობა არ შეუმოწმებიათ. თურმე ზოგი მათგანი შესაკეთებელია, არ მუშაობს, დაიწყებენ ცდას — არაფერი გამოდის, და საღამო ჩაიშლება.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გსურთ უჩვენოთ საღამოზე ხელოვნური ელვა, იწყებთ ცდას. მაგრამ... ნაპერწკლები არ სჩანს: ხელსაწყო არ მუშაობს. თუმცა წინა საღამოს ის მშვენივრად მუშაობდა. ვაი სირცხვილო! დამსწრენი იცინიან..

არ იცით რა ჰქნათ, როგორ გამოასწოროთ საქმე.

ასეთ უხერხულ მდგომარეობაში, რომ არ ჩავარდეთ, ამისათვის საჭიროა:

გაანაწილოთ საღამოს მომწყობთა მოვალეობანი.

კარგად დაამუშაოთ საღამოს პროგრამა.

საღამოს დაწყებამდე შეამოწმოთ ყველა ხელსაწყოს მუშაობა იმ ადგილას, საიდანაც ცდები უნდა უჩვენოთ.

## დენი ენაზე

აი ელექტროსაღამოს სანიმუშო პროგრამა.



დამკვრელი მუშები გემს ტვირთავენ

შეადგინეთ ბატარეია ლეკლანშეს სამი ელემენტისაგან. ეს თვალსაჩინოთ დაანახვებს ბავშვებს, თუ როგორ ჩნდება ელექტრობა ქიმიურად.

შეეკითხეთ დამსწრეებს—ვის სურს ენით გასინჯოს დენი (მსურველები ბლომად იქნებიან). აანთეთ ჯიბის ფარნის ლამფა ბატარეით, უამბეთ დამსწრეებს, თუ როგორ შეიძლება ელემენტებით განათების მოწყობა. შეუერთეთ ბატარია ზარს, უჩვენეთ ზარის მოწყობილობა, უამბეთ —სად და როგორ შეიძლება ზარის გამოყენება (სიგნალიზაციის მოწყობა ქურდებისაგან თავის დასაცავათ, ხანძრისათვის, დროის შესატყობინებლად); გააკეთეთ მთელი რიგი ცდები ელექტრომაგნეტით: რკინის ნაჭრების მიზიდვა; უამბეთ —როგორ იყენებენ მძლავრ ელექტრომაგნეტებს ტვირთის გადასატანად.

უჩვენეთ ბავშვებს—როგორ გადაიქცევა ელექტროენერგია მექანიკურ ენერგიად: აამუშავეთ მაგნეტიანი პატარა ელექტრომატორი, რომელსაც ბატარეა აამოძრავებს, მოაწყვეთ ელექტრომატორიდან გადაცემა (ვენტილიატორი—ფრთები, თუნუქის, ღერძზე წამოცმული).

შეიძლება აგრეთვე უჩვენოთ ელექტრობის მექანიკურად მიღება: უჩვენეთ, როგორ მუშაობს მაგნეტიანი დინამომანქანა.

დაბოლოს უჩვენეთ ბავშვებს რუმკორფის კოჭა. წინადადება მიეცით მათ:—სინჯეთ როგორ იმოქმედებს დენი კუნთებზე. შეიძლება თითოეულმა ცალკე გასინჯოს დენი, მაგრამ შეიძლება ასეც: ბავშვების ჯგუფი წრეს აკეთებს; ისინი ერთმანეთს ხელს ხელში ჰკიდებენ. მაშინ დენი ერთი ბავშვისგან მეორეს გადაეცემა, მეორისაგან მესამეს და სხვ. ამ ცდაში მსურველს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

მთელი ჩვენება 40 წუთზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. არვარგა ბევრი ხელსაწყოსა და ცდის ერთად ჩვენება, ვინაიდან ბავშვები მაინც ვერ გაერკვევიან ყველაფერში და კიდეც დაიღლებიან. საღამო რაიმე საინტერესო ცდით უნდა დასრულდეს: მაშინ ბავშვებს მკაფიო შთაბეჭდილება დარჩებათ. (ამ საღამოსათვის შეიძლება გამოიყენოთ აგრეთვე ელექტროცდები, აღწერილი პერელმანის წიგნში „გაზეთის ფურცლები").

ცდების ჩვენების შემდეგ უნდა მოაწყოთ პატარა ანტრაქტი (არა უმეტეს 5 წუთისა). შემდეგ შეგიძლიათ, თუ მოახერხებთ, კინოს გამართვა: უჩვენეთ ბავშვებს სურათი „ვოლხოვსტროი", დნეპროსტროის მშენებლობა და სხვ. მოაწყვეთ აგრეთვე ტექნიკური თამაშობანი.

## საკუთარი რადიო კონცერტი

საღამო იწყება მოკლე შესავლით: მოხსენება „რადიოს მნიშვნელობა". ამ მოხსენების გაკეთება შეუძლია ერთ-ერთ ბავშს, რომელიც წინასწარ შეუთანხმდება რადიოს ხელმძღვანელს მისი შინაარსის შესახებ. შემდეგ შეიძლება მოეწყოს საკუთარი რადიოკონცერტი. ტრანსლიაცია ეწყობა მიკროფონით, რომელიც გამაძლიერებელთან არის შეერთებული. აი, მაგალითად რადიოკონცერტის შინაარსი:

**მომართვა ბავშ-რადისტებისადმი —მიიღონ მონაწილეობა სოფლის რადიოფიკაციაში.**

**სიმებიანი ორკესტრის მიერ „ინტერნაციონალი“-ს დაკვრა.**

**მოხსენება რადიოს მუშაობის შესახებ.**

**მღერა, სკრიპკის, ბალალაიკის, მადოლინის და სხვ. დაკვრა.**

ძალიან კარგი იქნება, თუ რადიოგადაცემისათვის გამოიყენებთ ადგილობრივ მასალებს—რაზმის ან იმ კლუბის წევრებიდან. სადაც ეწყობა საღამო. რადიოგადაცემის პროგრამის შედგენის დროს შეეცადეთ ზედიზედ არ მოხვდეს რამდენიმე „სერიოზული“ ან რამდენიმე მუსიკალური ნომერი. არამედ „სერიოზულს“ მოჰყვეს მუსიკალური. მას „სერიოზული“, კვლავ მუსიკალური და სხვ.

კონცერტის შემდეგ მოეწყობა დასვენება.

ბოლოს— ტექნიკური ნომერი, რადიოგართობა: **1) მოლაპარაკე დედოფალა, 2) საოცარი მეხსიერების კაცი.**

## მოლაპარაკე დედოფალა.

მოლაპარაკე თოჯინა—ეს არის ჩვეულებრივი ხმამაღლა მოლაპარაკე, რომელიც მიკროფონთანაა შეერთებული. თოჯინას სახე მუყაოსგან უნდა გამოჭრათ და რაც შეიძლება სასაცილოთ უნდა გააფერადოთ. თვითონ თოჯინა ჩარიგდებიან კონტიბა და მას, პატარა ტანისამოსით მოართავენ. მოლაპარაკე თოჯინამ უნდა იმღეროს, თქვას ლექსები, ზღაპრები, მოჰყვეს რაიმე ამბავი, გამოცანები. ამ ნომრის დიდი შთაბეჭდილების დატოვება შეიძლება. მაგრამ ეს საგრძნობით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხებულია დედოფალა, ე. ი. ის, ვინც მიკროფონთან ზის.

## საოცარი მეხსიერების კაცი

ეს არის კაცი, რომელმაც ზეპირად იცის მთელი ჟურნალი ან წიგნი.

ამ ნომრის საიდუმლოება ასეთია: „საოცარი მეხსიერების კაცს“ თავზე აქვს გაკეთებული ტელეფონის მილები, რომლებსაც დამსწრენი ვერ ხედავენ. ამ „საოცარ“ კაცს თავზე პირსახოცისაგან გაკეთებული ჩალმა აქვს. ტელეფონის მილები გრძელი მავთულით შეერთებულია მიკროფონთან, სადაც ზის მისი ამხანაგი. დამსწრე ბავშები ყვირიან:

— მეშვიდე გვერდი!

— მესამე ბწკარი ქვევიდან!

აბა რა სწერია იქ?

მიკროფონთან მდგომს ესმის ეს, უცბად მოძებნის შეკვეთილ გვერდს ჟურნალში ან წიგნში და გადასცემს „საოცარი მეხსიერების კაცს“. უფრო სწრაფად მოხდება პასუხის გაცემა, თუ ალფაბეტის წიგნის მსგავსად გასჭრით წიგნის ან ჟურნალის გვერდებს და დანომრავთ, მაშინ უცბად მოსძებნით საჭირო გვერდს.

რომ დააინტერესოთ ბავშები, საჭიროა პატარა შესავალი:

„ამხანაგებო! აი ახლა ნახავთ ცნობილ აბუ-ბეკირს, რომელსაც გასაოცარი მეხსიერება აქვს. ამხ. აბუ-ბეკირს უყვარს ტექნიკა და საბავშო ლიტერატურაც ძალიან აინტერესებს. მან ზეპირად იცის ჟურნალი „პიონერი“. ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სიმართლეა. თუ გნებავთ, ეს ახლავე შეგიძლიათ შეამოწმოთ. აი ჟურნალი „პიონერი“. ჰკითხეთ, რაც გსურთ“. რომ არ დააბნიოთ მიკროფონთან მდგომი, ერთ-ერთმა ბავშმა ხმამაღლა უნდა გაიმეოროს შეკვეთილი გვერდი და სტრიქონი, თორემ შეიძლება შესცდეს „საოცარი“ კაცი, სწორი პასუხი ვერ გასცეს, და მაშინ მთელი საქმე წავა ხელიდან.

საღამოს დასასრულს ბავშებს აუცილებლად უნდა აუხსნათ ამ ცდების მოწყობა. ამრიგად ბავშები თვალსაჩინოთ გაეცნობიან რადიოგადაცემის რაობას.

სასურველია ეს საღამოები სუფთა ჰაერზე ეწყობოდეს; ზაფხულობით მოედანზე, ბანაკად ან სადმე ბაღში, ეზოში, მშვენივრად შეიძლება რადიოკონცერტის და რადიოგართობის (ცდები მიკროფონით) მოწყობა.

 შ. თ.

# სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბას ვკრეფავთ მხარგაბმულნი,
ხან სიმღერით და ხან ისე,
და რამდენიც მივალთ ქვევით,—
გვემატება სიხალისე!

თუ დროზე არ მივაშველეთ
ბუშისა თუ ისე ხელი,—
სულმთლად გაგვინადგურდება
ეს ძვირფასი საქონელი!

ჩვენ რომ გვინდა, ცა და წვიმა
ესე როდი დაგვიჯერებს,
დაალპობს და დაასველებს
ბამბასა და ბამბის ღეროებს.

და როდესაც ჩამოჰკიდებს
კინწმოწყვეტით ბამბა თავებს,—
მშრალ და ჯანსაღ გამოსავალს
ველარავინ აათავებს...

ბამბას ვკრეფავთ გამალებით,
ან სიმღერით და ხან ჩუმად,
და როდესაც დალაგდება
ეთრ ღრუბლებად და მთა-ბოლად,

ქარხანაც რომ დასდგამს ბამბის
ამრავ და დიდროვ ზვინებს,—
რა ზამთარი, ვერც სიცივე
ველარაფრით შეგვაშინებს!

ყინვებში რომ ხელის ფშვნეტით
რიტინებთ და ლოყებს ვბერავთ,
ოწეულებს დაედრებით,
ლტოებს რომ შეეკვრადთ.

ბამბას ვკრეფავთ მხარგაბმულნი,
ან სიმღერით და ხან-ისე,
რაც უფრო მივალთ ქვევით,—
ემატება სიხალისე!

შიო მღვიმელი.



კომკავშ. წ. ძ. უცოდინარობასთან ბრძოლაში.

# საბჭოთა ჯემპები*)

ჩუბინიძე თვალს ადევნებდა ამ კაცის კინო პროექტს და ნახაზებს სინჯავდა. ერთ ადგილას ეკრანი განათდა წინა პლანით. ეს იყო სწორედ ის ადგილი, სადაც სამეგრელო და საგურიელო ტყეების საზღვარი იყო და ჯერაც იქ კაცი ცულით არ ყოფილიყო. შედარებით სხვა ადგილებთან ეს კუთხე არ იყო იმდენად ჭაობიანი და ჩუბინიძის რაღაც ეჭვი დაებადა. მას ვერ აეხსნა. რატომ იყო სწორედ ეს ადგილი წინა პლანით განათებული.

ვანია ამ დროს ფიქრშიმოდგმული იჯდა. რაოდნაზე გამრიალად იცინოდა და ხარბად სვამდა ბორჯომის წყალს. თუმცა ხილში ჭიქა იშვრა. ჩუბინიძემ ველარ მოითმინა და კითხა.

— რას ფიქრობთ ვანია, ამ განათებით?

მან გაიხარხარა.

— კარგი ადგილია და მომწონს!

ჩუბინიძე დაფიქრდა.

— კარგი, ეგრე იყოს, სუნი სხვა უდის.

ჩხეიძე გაჩუმდა.

ჩუბინიძის აღარა უკითხავს რა. ჩხეიძის ამ წინა პლანით განათებაში ჰქონდა რაღაც თავისი მოფიქრება, შეიძლება ავი, შეიძლება სასარგებლო, მაგრამ საქმის დასაშავებელი რამ არაფერი შემთხვევაში არ იყო მოსალოდნელი. სეანსები გრძელდებოდა. ნახაზები შეიცვალა სამუშაოებისათვის მზა მარქაფა კომკავშირლების დაწყობილმა წყობებმა. ისინი იყვნენ ჩაცმული იუნგშტურმის ფორმაში, ქოჩორა, პირხმელი, მომღიმარი შავგრემანი ბიჭები. ეჭირათ დროშები დასახის სწორი გამომეტყველება ამტკიცებდა, რომ ის ინჟინრები მხოლოდ მათის იმედით ეპარებოდნენ ამ ვეებერთელა სამუშაოს დაწყებას. მუშაობის ტემპს 75 პროცენტით უნდა გადაეჭარბებია ფორდის საკოლონიზაციო ტემპისათვის მექსიკის ჭაობების ამოშრობაზე, რომელიც ფორდმა დაიწყო მსოფლიო კაუჩუკის წარმოების ხელში ჩასაგდებად სულ თვრამეტი თვის განმავლობაში. კომკავშირელებს მოსდევდა მთელი წყება ძველ და გამოცდილ რევოლიუციონერებისა, ისინი იყვნენ ყველანი ჭაღარა და მოხუცებულები. კოლხიდის ჭაობის ამოშრობა მათ წამოაყენეს კომისართა საბჭოში. მათ წინა პლანზე იდგა ბათუმელი სამოცი წლის მტვირთავი მუშა სოლორაშვილი. მას ყველა იცნობდა და ჯერ თვალით ბევრს არ ენახა. ხალხი ალტაცებაში მოვიდა, როდესაც, ეკრანზე გამოჩნდა სოლორაშვილი მარტო და მოჰყვა მას წარწერა.

„ბარცხანის გუბერნატორი. 1901 წლიდან 1919 წლამდე". მართლაც, სოლორაშვილი საფთხური იყო მეფის მთავრობის ამ პერიოდში და ეს ზედმეტი სახელი მას დამსახურებული ჰქონდა მუშების დიდი სიყვარულის და მეფის მთავრობის დიდის სიძულვილის შედეგად. იგრიალა ტაშმა ისეთის სიმძლავრით, რომ ჩუბინიძეს, რომელიც უბრალო დეტალებში ეძებდა მასების ნამდვილი ენტუზიაზმის უტყუარი კუნჭულების აღმოჩენას, მოეჩვენა, რომ ტაშმა ჩაყლაპა ტალღების ტყლაშუნი ქვიშიან ნაპირებზე. წარწერას კვლავ მოჰყვა რევოლიუციონერების პორტრეტები, რომლებმაც იბრძოლეს მშენებლობის და სამელიორაციო კამპანიის სამუშაოების სახელმწიფო გეგმებში შესატანად.

გამოჩნდა ყველასათვის ცნობილი მოხუცი გეგელია. ის ძლივს იდგა ფეხზე. მხრებში ეჭირა ორ კომკავშირელს. მოხუცს თეთრი თმა და წვერი ეყარა წელამდე და უჩანდა მხოლოდ მაღალი შუბლი და დიდი აბურძგნული წარბები. გეგელიას იცნობდენ იმ დღიდან, როდესაც ის, 17 წლის ბიჭი, დაიჭირეს როგორც რევოლიუციონერი ქულიაზოვის საქმეზე. შემდეგ მარჯვენა ხელი იყო ნიკოლოზ ბაკუნინის და კროპოტკინის, ძველ და უკვე მთელს კავშირში ცალი ხელის თითზე ჩამოსათვლელ რევოლიუციონერებში გეგელია ყველაზე მარმაგად გრძნობდა თავს და ას წელზე გადაცილებულმა მან დასწერა უშესანიშნავესი ეპოპეა და რაც მთავარია, დიდი ეკონომიური ნარკვევი, რამაც გაცვიფრებაში მოიყვანა მთელი პარტია. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ გეგელია კოლხიდის სამუშაოზე ეპირებოდა მუშაობას კულტურულ დარგში, რადგან ფეხზე დგომა არ შეეძლო და ფიზიკურ სამუშაოზე ძალა უნებურად ვერ გაიღოდა.

უკანასკნელად ეკრანზე გადაიარბინა მთელი სამუშაოების გეგმის ნახაზებმა. დიაფრაგმას მოჰყვა ჰომერიული ტაში, ორკესტრები [illegible]ბი, რადიოები, ხალხი, უცდიდა მაშხალის ნიშანს. გავარდა მაშხალაც, გაიტყორცნა ცის სიღრმეში ჟინჟღლების ყრით და ალის კუდებით. ეს იყო ნიშანი ამ საღამოსათვის დანიშნული დირიჟორის საერთო ჰიმნის დასაწყებად. უთვალავმა ელნათურამ იფეთქა ერთბაშად. განათდა ყოველი კუნჭული. [illegible]ლამ ერთად დაიწყო ჰიმნი და ჩაინთქა სიღრმეში ყველა სხვა ხმაური. თითქოს მას საგნები არც კი აჩერებდნენ. გათავდა ჰიმნი და ხალხს მიეცა საშუალება გადალაპარაკების, ჯგუფური საუბრის. ამ საღამოსათვის განსაკუთრებული სახალხო კვების რაზმი ხალხს აწოდებდა ყოველგვარ სანოვაგეს. დაილია რამოდენიმე მილიონი ლიტრი ახალთაჩის წყალი. ვინაიდან ეს წყალი [illegible] დიდ კრიზისს. მაშასადამე, ქარხანასაც [illegible]. ამ საღამოსათვის ჩუბინიძის განკარგულებით მარტო ახალთაჩის [illegible] ქარხნის თიხზე [illegible] მიზნით. და მართლაც, ქარხანას ორი საათის შემდეგ შეეძლო ნახევარი მილიონის მოგება გადაეთვალა თავისათვის. ეს თანხა [illegible] მას ბორჯომის წყლის [illegible] საწარმოო გადაქცევისათვის. ამ ტრიალა და აბორგებულ ხალხსა და ილუმინაციებში დარბოდნენ ფოტორეპორტიორები. ყოველ ათ ნაბიჯზე ითითქმებოდა მაგნი. და ტრიალებდნენ თიხმარდი ოპერატორები და რეჟისორები. ისინი არ უშვებდნენ უბრალო შემთხვევასაც კი. რაც დამახასიათებელი იყო ამ არაჩვეულებრივ საღამოსათვის კასპიისა და შავი ზღვის შორის. მოედანს თავს შემოუარა რამოდენიმე ჰაეროპლანმა. ისინი ჰყრიდნენ ნაბეჭდ მასალას—მოწოდებებს, კუპლეტებს, ლექსებს. უკანასკნელად ყურადღება მიიპყრო ჰაერო ბურთმა. აქამდე მთელ დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო უზარმაზარმა მან ჩამოუშვა ურიცხვი ბალონი, რომლებიც იხიბლებოდნენ საზეიმო მოედანს და უბრალო საგანზე მიკარებისას სკდებოდნენ. ეს ბალონები მჟავბადით იყვნენ დატენილი. წყნარ ამინდში ხალხს იმდენი მჟავბადი ჰქონდათ, რამდენიც აბასთუმანში არ შეიძლება ჰქონდეს ჰაერს მოწმენდილ ზამთრის დღეში და ნაძვ-ფიჭვნარის ხეივნებში.

**ბორის ჩხეიძე.**

*) [illegible] № 18.

# შენიშვნები პიონერთა ყოფა-ცხოვრებაზე

მე, როგორც კომკავშირელს, მაინტერესებდა პიონერთა ყოფა-ცხოვრება. ამ მიზნით დაუახლოვდი ჩემს მახლობლად არსებულ პიონერკოლექტივს. ვუკვირდებოდი მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, და ამ დაკვირვებამ მომცა საშუალება აღმენიშნა რამოდენიმე ნაკლი პიონერთა ყოფა-ცხოვრებისა.

არ შევეხები პიონერთა საზოგადოებრივ მუშაობას,—ყველა ჩვენგანმა იცის, რომ პიონერები კომკავშირის ღირსეული შემცვლელნი არიან, მაინტერესებს მხოლოდ შევეხო პიონერების ყოფა-ცხოვრებას, რაშიაც ხშირად მოვიკოჭლებთ არამც თუ პიონერები, კომკავშირელებიც.

ჩვენ, როგორც კომკავშირელები, ისე პიონერებიც, თავგამოდებულად ვიბრძვით ყოველი საზოგადოებრივი ამოცანის შესრულებისათვის, მაგრამ ხშირად გვავიწყდება ერთი სერიოზული ამოცანა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამავე დროს საკმაოდ კონსერვატიული. ესაა საკუთარ თავში ჩაბუდებულ ძველ მავნე ზნე-ჩვეულებებთან ბრძოლა. ლენინი გვასწავლიდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ ვაშენებთ სოციალისტურ ქვეყანას, ნახევრად უკულტურონი ვართ (ლენინი ამას ნახევრად აზიურ უკულტურობას იძახდა) და, მაშასადამე, ყოფა-ცხოვრების მხრივ, ლენინის სიტყვით, რომ ვთქვათ, „მუხლებამდე ვდგევართ ლაფში. მართალია, მას შემდგომ, რაც ლენინმა ამ მოვლენაზე მიგვითითა, მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, მაგრამ არა რადიკალურად. „თავი და თავი საქმე ამჟამად ის არის, რომ ავანგარდი არ შეუშინდეს თავის თავზე მუშაობის საქმეს. არ გაექცეს თავისი თავის გარდაქმნას“ (ლენინი).

აი ეს ციტატა არის მთელი ჩვენი სამოქმედო ხაზი ყოფა-ცხოვრების დარგში. უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიწყია საკუთარი თავის გარდასაქმნელად ბრძოლა. ამ მხრივ ჩვენ უფრო იმით ვკმაყოფილდებით, რომ სხვას მივსცეთ შენიშვნები, ვიდრე დავეკითხოთ ჩვენ თავს, თუ რამდენად ვიბრძვით საკუთარ სხეულში გამჯდარ მავნე ბურჟუაზიულ შეხედულებებსა და ჩვევებს.

აქვე მინდა აღვნიშნო ზოგიერთი ამხანაგების მცდარი შეხედულება. ეს ამხანაგები ახალი ყოფა - ცხოვრების შექმნისათვის ბრძოლას მაინც და მაინც არ სთვლიან აქტიურ საბრძოლო ამოცანად, რადგან, მათი შეხედულებით, რაც გინდა იყვირონ მათ ამ საკითხზე, ის არ გაკეთდება დროის გარეშე, ე. ი., მათი აზრით, ყოფა-ცხოვრება უნდა გარდაიქმნას თავის თავად, ისტორიული აუცილებლობით, ბრძოლა მის გადასაკეთებლად კი „დროის დაკარგვაა“, რადგან ყოველივეს „დრო მოიტანს“. ეს შეხედულება მენშევიკურ-ოპორტუნისტულია.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ნათელი გახდეს იმ ამხანაგების მცდარი შეხედულება, რომლებიც ასე ფიქრობენ: ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლა მაინც და მაინც არაა აქტიური საბრძოლო ამოცანა, რადგან დრო ამ ამოცანას, როგორც ხილს, დაამწიფებს და მათ კი პირში ჩაუვარდებათ.

ზოგადი შენიშვნებიდან გადავიდეთ კონკრეტიულზე,—ფაქტები ყოველთვის და ყოველგან მეტის მთქმელია.

პირველი ფაქტი. მქონდა ასეთი შემთხვევა: მიველი კოლექტივში ჩემი ნაცნობი პიონერის გამოსაძახებლად, კიბესთან შემომეხვა ერთი პიონერი; ვსთხოვე დაეძახნა პიონერ გ. მაზავრაშვილისათვის. მან მიპასუხა, რომ იგი გაბუტულია და მას ხმას არ სცემს.

ბუტიაობა მეტად ცუდი ჩვევაა, ამ ძველ ბურჟუაზიულ ბოროტებას მთელი შესაძლებლობით უნდა ვებრძოლოთ. ჩვენი ამოცანაა ერთმანეთს დაუახლოვდეთ, ვიცხოვროთ ისე, როგორც ერთი ოჯახის წევრებმა და უფრო უკეთესადაც. განა ბუტიაობა შესაძლებლობას მოგვცემს ვიცხოვროთ ამხანაგურად და კოლექტიურად?! ნახეთ, ამ თვალსაზრისით რა დიდი ბოროტებაა ბუტიაობა.

მეორე ფაქტი. მთელ კოლექტივში ვერ მოძებნით ისეთ პიონერს, რომელიც არ ჰყოს ზედმეტი სახელით „დაჯილდოვებული“.

ჩლახუნა, მძინარა, ჩერჩეტა, კურკა, ლორუა, ხშირად ერთმანეთს ასეთი ზედმეტი სახელებით სერიოზულ საუბრების დროსაც მიმართავენ ხოლმე. ეს ისეთივე ბოროტებაა, როგორც ზემოთ აღნიშნული ბუტიაობა. განა ამხანაგური მოქცევაა ამხანაგს მიმართო ზედმეტი სახელით? ეს ხომ დაცინვა და მასხრად აგდებაა. ოქმაც არ უნდა, რომ ეს მოვლენაც უაღრესად მავნებელია.

აგრეთვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგიერთ კოლექტივში ბატონობს ვიწროდწოდებული კუთხური პატრიოტიზმი. კახელები იმერლებს დასცინიან, იმერლები ქალებივით მშიშრები არიან, იმერლებს მჟავი უყვარსო, გურულებს კი ლობიო, იმერლები პრანჭიები არიანო და იმერლებიც „მნიშვნელოვან“ ბრალდებებს უყენებენ კახელებს: თურმე კახელები ვირებივით უტვინო, გაუგებარნი, უკულტურონი.

კამათი იქამდი მიდის, რომ ზოგჯერ თითებზედაც კი ითვლიან, რომელთ უფრო მეტი გამოჩენილი ადამიანები ყავთ.

მესამე ფაქტი. „ერთი წიგნიდან ვერ ვისწავლით ორნი“ — ასე განაცხადა ერთმა პიონერმა, როდესაც ხელმძღვანელმა მას გადასცა დახმარების სახით სახელმძღვანელო და დაუმატა: „ამ წიგნით ისარგებლებთ შენ-და ვ. ჯილაური“. მეორე ამხანაგს წიგნით ასე სარგებლობა არ ესიამოვნა და განაცხადა: „ორნი, ერთი სახელმძღვანელოთი ვერ ვისწავლით. ან ჩემი იყოს, ან მისი“. მკითხველი უსათუოდ იგრძნობს ამ სიტყვების მთქმელის კერძო მესაკუთრულ განწყობილებას. განა დასაშვებია პიონერის მიერ ასეთი მსჯელობა, როდესაც პიონერის ვალია მოსპოს „შენი“-ს და „ჩემი“-ს საზღვრები.

მეოთხე ფაქტი. „მე ხომ ქალი არა ვარ“. ერთმა პიონერმა რამდენიმე დღე სახელო ჩამოგლეჯილმა იარა სკოლაში. როდესაც შეეკითხენ ამხანაგები, თუ რატომ არ დააკერებინებს დედას დახეულ სახელოს, მან სთქვა: „დედა სოფელში წავიდა, ვინ დამიკერებს“.

— განა შენ კი არ შეგიძლია დააკერო, ხომ ძნელი არ არის?

— მე ხომ ქალი არა ვარ! — უპასუხა მან შემკითხველს.

ამ სიტყვებში სიმართლის ნატამალიც არ არის. ეს ხომ ძველი შეხედულებაა ქალზე და მის მოვალეობაზე. თითქოს ქალის მოვალეობაა ოჯახური საქმიანობა, მამაკაცის კი — საზოგადოებრივი. ეს საზღვარი ხომ ოქტომბრის რევოლუციამ უკვე მეხუთმეტე წელია ძირ-ფესვიანად წაშალა.

მეხუთე ფაქტი. თითქმის პიონერების უმრავლესობა სასწავლო ნივთებს გულგრილად ექცევა. მაგ. წიგნში ამოგლეჯილია ფურცლები, დახეულია ყდა და სხვა. ჩვენ თვითონ გავასწოროთ ასეთი წიგნი. ვისწავლოთ აკინძვაც. განა საჭირო არ არის?

ზემო ჩამოთვლილი ფაქტები შეთხზული კი არ არის ვინმეს მიერ,, არამედ ცხოვრებიდან ამოკრეფილია და მოითხოვს ჩვენგან აქტიური ბრძოლით ლიკვიდაციას.

საჭიროა ამხანაგებმა სისტემატიურად გამამოამჟღავნონ ხოლმე ასეთი მახინჯი ფაქტები, რომ შეგვეძლოს მათ წინააღმდეგ ბრძოლა და, მაშასადამე, გამარჯვებაც.

**ალ. ბილანიშვილი.**

# როგორ მუშაობენ ადგილებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ მუშაობს მე-2 შრომის სკოლა (ტფილისი)

მეორე შრომის სკოლამ სწავლა დაიწყო დაგვიანებით, სახელდობრ 1-ლ ოქტომბრიდან. ამ ხნის განმავლობაში სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მოწაფეთა თვითმმართველობა.

რას აკეთებს იგი პრაქტიკულად?

იცავს დისციპლინას, მისი ინიციატივით გამოდის კედლის გაზეთი.

ყურადღებას აქცევს მოწაფეთა დაგვიანებებს და გაცდენებს, ალრიცხვაზე აყავს ის პირები, რომლებიც სისტემატიურად იგვიანებენ და სხვა.

სკოლის ადმინისტრაცია ებრძვის მოწაფეთა 2-წლიანობას, იგი ამაგრებს მასწავლებლებს და ძლიერ მოწაფეებს სუსტებზე.

როგორ არის განვითარებული სკოლაში სოცშეჯიბრება და დამკვრელობა· უნდა ითქვას, რომ სკოლაში თავის სიმაღლეზე სდგას სოცშეჯიბრება და მასწავლებლობა ფართოდ არიან ჩაბმულნი ამ საქმეში·

გარდა ამისა სკოლასთან არსებობს: ავიოქიმის, წერაკითხვის, რემედასის, ულმერთოთა კავშირის და სხვა, რომელნიც სისტემატიურად აწარმოებენ მეცადინეობას.

როგორი კავშირი აქვს სკოლას წარმოებასთან.

სკოლას ცოცხალი კავშირი აქვს სტამბა „კოლექტივთან", სადაც მოწაფეობა სისტემატიურად დადის საწარმოო პრაქტიკის მისაღებათ.

რა დახმარებას უწევს მოწაფეობა სტამბას?

მათ სტამბაში ჩამოაყალიბეს სხვა და სხვა წრეები, სადაც მასწავლებლები და მოწაფეები მუშებისათვის მართავენ საუბრებს.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შეფად ყავს აყვანილი სოფ. ავჭალა, სადაც ჩაატარა საღამო, მოწაფეობას ჩაუტანა ფანქრები, რვეულები და წიგნები·

სკოლაში სისტემატიურად გამოდის კედლის გაზეთი „ლენინიზმის გზით", რომელიც აშუქებს მოწაფეთა საყოფაცხოვრებო საკითხებს·

როგორ მდგომარეობაშია სკოლის ნ.-პ. კოლექტივი.

სკოლაში ჩამოყალიბებულია ერთი ნ.-პ. კოლექტივი, რომელიც აერთიანებს 250 წევრს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სკოლაში მუშაობა გარდაქმნილია პოლიტეხნიზაციის საფუძველზე, სკოლას აქვს ორი სახელოსნო· სადურგლო და მექანიკური· მოწაფეობა მთლიანად ჩაბმულია სახელოსნოების მუშაობაში.

რა გააკეთა სკოლამ ახალი სესხის გავრცელების საქმეში? სკოლამ გაავრცელა 12.000 მ. ობლიგაციები. აქედან: მასწავლებლობამ 7.500 მ. სტიპენდიანტებმა 3.600 მან· და თავისუფალი გაყიდვით—1000 მან.

მეორე შრომის სკოლამ უკვე დაამუშავა სტალინის 6 მითითება.

ასე მუშაობს თბილისის მეორე შრომის სკოლა.

## როგორ მუშაობს ტფილისის მესამე შრომის სკოლა

მესამე შრომის სკოლის საპროგრამო მასალა უმთავრესად აგებულია პოლიტხენიზაციის საკითხებზე.

სკოლაში მოწაფეთა დაგვიანებას ადგილი აქვს, მაგრამ სკოლის მიერ გადამწყვეტი ზომები მიღებულია. 2 წლიანობა თითქმის ალმოფხვრილია, დინეობა.

შედგენილია განსაკუთრებული საათები, სადაც ტარდება მეტი მეცა-

მასწავლებლობის უმეტესი ნაწილი ჩაბმულია სოც-შეჯიბრებაში და დამკვრელობაში და იბრძვიან სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის·

გარდა ამისა არსებობს შემდეგი უჯრედები: ავიაქიმის, რემედასის, ულმერთოთა კავშირი და სხვები· მებრძოლ ულმერთოთა კავშირი ატარებს მთელ რიგ პრაქტიკულ მუშაობას არა მარტო სკოლაში, არამედ მაგალითად: პოლიგრაფ ტრესტის ლიტოგრაფიაში, სამთავისის კომუნაში და სხვა. ყველა მოწაფეები ჩაბმული არიან წრეობრივ მუშაობაში.

გარდა ამ წრეებისა არსებობს აგრეთვე სკოლში პოლიტ სკოლა: 1. მიმდინარე პოლიტიკის, 2 ლენინიზმის შესწავლელი წრე და 3. პარტიის ისტორიის, რომელნიც დეკადაში ერთხელ მეცადინეობენ. ტეხნიკის დაუფლების მიზნით სკოლას მოწყობილი აქვს სახელოსნო: საზეინკლო, სადურგლო, შეფად ჰყავს აყვანილი სამთავისის კომუნა.

ამა თუ იმ პოლიტიკურ კამპანიის ჩატარების დროს მოწაფეები იგზავნებიან ბრიგადების სახით, მიაქვთ: თესლი, სასუქი. ამავე მიზნით ჩატარებული იქნა საღამო, გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი, გარდა ამისა, 20 კაცი ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა საშეფო კომუნაში.

სკოლა კომუნას მეთოდიურ ხელმძღვანელობასაც უწევს, სკოლის კომუნის ორი წევრი.

სკოლას კავშირი აქვს პოლიგრაფ ტრესტის ლიტოგრაფიასთან, დადებული აქვს 17 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულება. მოწაფეობა სისტემატიურად დადის ლიტოგრაფიაში, ეცნობა მას, მუშაობს დაზგებთან და სხვა.

პოლიგრაფიამ სკოლას დიდი დახმარება გაუწია: სახელოსნოების გასაუმჯობესებლად სკოლას მისცა 1.000 მანეთი, მხოლოდ პიონერთათვის-კი გაიღო 300 მანეთი.

რა გააკეთა სკოლამ ახალი სესხის გავრცელების საქმეში?

სკოლამ შეიძინა 11.500 მანეთის სესხი.

სკოლასთან არსებობს პიონერ ბაზა, სადაც ირიცხება 234 პიონერი. სკოლამ მეცადინეობა დაიწყო 6 ნოემბრიდან.

რა გააკეთა სკოლამ ბამბის აკრეფის ფრონტზე? სამწუხაროდ არაფერი.

დამუშავებული იქნა სტალინის 6 მითითება და საკავშირო კომპარტიის ცეკას 5 სექტემბრის დადგენილება სკოლების შესახებ და უკვე შეუდგა მუშაობის გარდაქმნას 5 სექტემბრის დადგენიილების საფუძველზე· როგორ არის დაყენებული მოწაფეთა საწარმოო პრაქტიკის საქმე? სკოლის საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით და დაკავშირებულია პროგრამასთან. სკოლის სახელოსნოები მთლიანად მექანიზაციაქმნილია.

აი ასე მუშაობს ტფილისის მე-3 მე შრომის სკოლა.

ფასი 20 კაპ.


საქართველოს გ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო
კომისარიატის ჟურნალი—ბავშთათვის

წელიწადი VII **„პიონერი"** წელიწადი VII

გამოდის თვეში ორჯერ

„პიონერი" ემსახურება ბავშების კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.
„პიონერის" ამოცანაა—თავის ირგვლივ შემოკრიბოს ბავშთა ფართო მასები.
„პიონერ"-ში სისტემატიურად მოთავსდება წერილები, ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიების შესახებ.
„პიონერი"-ს მთელი შინაარსი და ხასიათი შეფარდებულია სოციალისტური მშენებლობის მიერ დასმულ საკითხებთან.
„პიონერს" უნდა კითხულობდეს ყოველი პიონერი და ხელს უწყობდეს მის ფართოდ გავრცელებას შიუკავშირებელ ბავშთა შორის.
ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 4 მან., 1/2 წლით 2 მან. 20 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—ჯორჯაძის ქ. № 1.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო უფლებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

საქართველოს გ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო
კომისარიატის ჟურნალი—მცირეწლოვან ბავშთათვის

**„ოქტომბრელი"**

(ყოველ თვიური)

„ოქტომბრელი" ემსახურება ოქტომბრელთა კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.
„ოქტომბრელი" ბავშებისათვის 7—10 წლამდე პოპულიარული ენით აშუქებს სოცმშენებლობის საკითხებს, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასმულ ყოველგვარ ამოცანებს და მიმდინარე კამპანიებს.
„ოქტომბრელი" აწვდის ჩვენს ბავშებს ცნობებს უცხოეთის ბავშთა რევმოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 3 მან.
1/2 „ 1 მან. 70 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—ჯორჯაძის ქ. № 1.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო რწმუნებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.



მთავლიტი № 260. გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა. ტფილისი, კამოს ქ., № 68 შეკვ. № 278 ტირაჟი. 5000